ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 15 აგვისტო, 2019 №192 (8146) ფასი: 60 თეთრი

ზუგდიდში დედამთილის ფულის მოპარვისთვის რძალს 3 წელი პირობითი შეუფარდეს

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც დედამთილი ფულის მოპარვაში ადანაშაულებდა, პირობით მსჯავრად 3 წელი შეუფარდა.

ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ პროკურატურისა და დავის მხარის საპროცესო შეთანხმება გაიზიარა.

ბრალდებული თავს დამნაშავედ ცნობს.

ნ. ჭ-ს მიმართ გამოძიება სს კოდექსის 177-ე, ქურდობის მუხლით დაიწყო. ახალგაზრდა ქალს 5.000 ლარის მოპარვაში დედამთილი ადანაშაულებდა.

პროკურატურა: „ნოდარ გამყრელიძემ დედა მოკლა, რაშიც მამა, ომარ გამყრელიძე, დაეხმარა“



ომარ გამყრელიძისა და მისი შვილიშვილის საქმეები გაერთიანდა

გვ.5

„ომარ გამყრელიძემ, ელიზა გამყრელიძის განზრახ მკვლელობაში დახმარების მიზნით, ნოდარ გამყრელიძეს გადასცა გეკო 23 მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც ომარ გამყრელიძე თავის საცხოვრებელ სახლში მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა“

ივანე მაჭავარიანი: „რუსთავი 2-ს ბიუჯეტის ვალი 28 მილიონამდე აქვს, იმედს — 19 მილიონი, მაესტროს — 8 მილიონი“

გვ.2

პაატა სალია: „რუსთავი 2 ვალს სწრაფად ვერ გადაიხდის“

როდესაც მიმდინარეობს ტელევიზიების ყიდვა-გაყიდვის პროცესი, ყველა მყიდველმა უნდა იცოდეს, რომ მანკიერი პრაქტიკა დავალიანებების დაგროვების არის გასასწორებელი.

დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნება“ და ნაციონალები ერთმანეთს დაასრულებენ“

გვ.3

დეპუტატები, რომლებიც „ოცნების“ 2020-ის სიაში აღარ იქნებიან

ზაზა ხუციშვილი არ უარყოფს, რომ შესაძლოა „ოცნების“ საპარლამენტო სიაში არ იყოს

გვ.3

სამართალი



ადვოკატი კოტეტიშვილი: „რა უკავია ხელში მიხეილ კალანდიას, არ ჩანს“

პროკურატურა 150 მოწმის დაკითხვას გეგმავს



გვ.5

ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩაზე მეორე სართულის აივანი ჩამოინგრა



საკასაციო სასამართლომ ნიკა გვარამიას საჩივარი დაუშვებლად ცნო

რუსთავში მამაკაცმა ძმა და ცოლი დაჭრა

ISSN 1987-9385

3 ეკა მიშველაძე: „მედიაზე ზენოლის ნაციონალების პრაქტიკას „ოცნებაც“ წარმატებით აგრძელებს“

4 ქართული კომპანია ამერიკული სანქციების სიაში მოხვდა

6 პეტრო პოროშენკოს სიცრუის დეტექტორზე დაკითხავენ

4 ჯემალ გამახარია: „კიტოვანი შემოვიდა რუსი გენერლების თანხმობით და თანხლებით“

ივანე მაჭავარიანი: „რუსთავი 2-ს ბიუჯეტის ვალი 28 მილიონამდე აქვს, იმედს – 19 მილიონი, მაესტროს – 8 მილიონი“

ფინანსთა მინისტრი იმ ტელევიზიებს, რომლებსაც სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება აქვთ, მოუწოდებს, ვალების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დაიწყონ.

ამის შესახებ ივანე მაჭავარიანმა განცხადება გუშინ, 14 აგვისტოს, გააკეთა.

მისი თქმით, სხვადასხვა ხელისუფლებების დროს დამკვიდრებული იყო მანკიერი პრაქტიკა, როდესაც ტელევიზიები აგროვებენ ვალებს და შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან ხდებოდა მათი ჩამოწერა.

– ამჯერად ასე არ მოხდება და ეს მანკიერი პრაქტიკა უნდა დასრულდეს, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

ივანე მაჭავარიანი მოუწოდებს ტელევიზიებს, მაქსიმუმ ორი კვირის ვადაში მიაწოდონ მათი შეთავაზებები.

– ეს საკითხი უნდა გასწორდეს. არის სხვა ტელევიზიები, გაცილებით პატარა და ისინი არ აგროვებენ ამ დავალიანებას და იხდიან და არ არის სამართლიანი. ერთ საგადასახადო სივრცეში ვართ და რა დააშავეს ამ ადამიანებმა, ვინც პატიოსნად იხდიან ამ გადასახადებს?! ყველამ უნდა დაიწყოს გადასახადის გადახდა, – აღნიშნა ივანე მაჭავარიანმა.

მან თქვა, რომ დავალიანებები არის დიდი და მათი ერთბაშად დაფარვა გაუჭირდება ტელევიზიებს და შეიძლება მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგეს.

– მინდა მივმართო ტელევიზიებს და მოვუწოდო, უახლოეს ვადაში ველოდებით, რომ მოვიდნენ თავიანთი შეთავაზებით, როგორ ხედავენ თავიანთი ვალების რესტრუქტურიზაციას. მთავარი ის არის, რომ მომდინარე დავალიანებები გადაიხადოს ყველამ და აღარ მოხდეს ვალის დაგროვება, – განაცხადა ივანე მაჭავარიანმა.

მისი ინფორმაციით, ამ დროისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ მსხვილი დავალიანებები აქვთ რუსთავი 2-ს, ტელეიმედს და მაესტროს – რუსთავს აქვს 28 მილიონამდე, იმედს – 19 მილიონის ფარგლებში, მაესტროს – 8 მილიონზე ცოტა მეტი.

როდესაც მიმდინარეობს ტელევიზიების ყიდვა-გაყიდვის პროცესი, ყველა მყიდველმა უნდა იცოდეს, რომ მანკიერი პრაქტიკა დავალიანებების დაგროვების არის გასასწორებელი.

– ქიბარ ხალვაში გაყიდის თუ არა ამ ტელევიზიას, არგადახდილი გადასახადის საკითხი ამ ტელევიზიის წინაშე იდგება, – დააზუსტა ივანე მაჭავარიანმა.

ფინანსთა მინისტრი არ გამორიცხავს, რომ ტელეკომპანიების დავალიანებების რაღაც ნაწილი ჩამოწეროს, ნაწილი კი გადანაწილდეს. ეს

პაატა სალია:
„რუსთავი 2 ვალს სწრაფად ვერ გადაიხდის“

მოლაპარაკებების ნაწილია.

❖ ❖ ❖

ივანე მაჭავარიანის განცხადებას გუშინვე გამოეხმაურა რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი პაატა სალია.

მისი ინფორმაციით, ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხზე ფინანსთა სამინისტროსთან და შემოსავლების სამსახურთან მოლაპარაკებებს უახლოეს დღეებში დაიწყებენ.

როგორც სალია ამბობს, ვალების სწრაფად გასტუმრება ვერ მოხდება.

– ფინანსთა მინისტრის შეთავაზება იყო, რომ უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მოხდეს გრაფიკის წარმოდგენა, თუ რა სახით შეიძლება დაფარონ ტელეკომპანიებმა საგადასახადო ვალდებულება.

ცხადია, რომ ვალების სწრაფად გასტუმრება ვერ მოხდება და კომპანიებს მძიმე ტვირთად დააწვება. ეს ყველას ესმის. ვაპირებთ, უახლოეს დღეებში დავიწყოთ მოლაპარაკებები ფინანსთა სამინისტროსთან, შემოსავლების სამსახურთან და ყველაზე ეფექტური გზა გამოვნახოთ, რაც კომპანიას ხელს შეუწყობს, რომ მან ფუნქციონირება გააგრძელოს და არ იყოს რაიმე შეფერხება, – განაცხადა პაატა სალიამ.

ფინანსთა მინისტრის განცხადებას რუსთავი 2-ის ყოფილი გენერალური დირექტორი ნიკა გვარამიაც გამოეხმაურა.

– მე ვიხდიდი თეთრი თეთრში ამ გადასახადებს, ვიდრე შეუძლებელი არ გახდა გადასახადების და ჩემი გუნდისთვის ხელფასების გადახდა ერთდროულად. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ თავიდანვე გვქონდა წინადადება, რომ მოგვიხსნან ეს ყადაღა და ჩვენ გადავიხდით გადასახადებს, ეს არ მოხდა, მერე აბსოლუტურად ღიად ვთქვით, რომ ჩვენ ამას ვერ მოვახერხებთ და ორს შორის არჩევანს, რა თქმა უნდა, ავარჩევთ ტელეკომპანიის ფუნქციონირების სასარგებლოდ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მან აღნიშნა, რომ გადასახადები და საურავები გროვდებოდა.

– არაერთგზის მივწერეთ ფინანსთა მინისტრს, მე არ მახსოვს მაშინ ვანო მაჭავარიანი იყო თუ მისი წინამორბედი, და არც ერთი პასუხი არ მიგვიღია ამასთან დაკავშირებით, – თქვა ნიკა გვარამიამ.

საპატრულოს უფროსად ვაჟა სირაძე დაინიშნა, რომელმაც 20 ივნისს ნიკა მელია პარლამენტიდან გააძევა

20 ივნისის მოვლენების ერთ-ერთი შემოქმედი პირი გიორგი გახარიამ დააწინაურა. საპატრულო პოლიციის უფროსის პოსტზე ვაჟა სირაძე დაინიშნა.

სირაძე პატრულის ის მაღალჩინოსანია, რომელიც ანტისაოკუპაციო აქციის მონაწილეებს გაუსწორდა. ვაჟა სირაძემ ძალის გამოყენებით გამოაძევა პარლამენტიდან „კურიერის“ გადამღები ჯგუფი და პარლამენტის მოქმედი დეპუტატი.

ნიკა მელია იხსენებს, რომ 20 ივნისის ღამეს ვაჟა სირაძე განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.

– 20 ივნისს ამ ბატონის არც სახელი ვიცოდი და არც გვარი. ის იყო ყველაზე აგრესიული მთელი დღის განმავლობაში. ყოველწამიერად არღვევდა კანონს. როგორც აღმოჩნდა, ეს ყოფილა ვიღაც ვაჟა სირაძე, რომელმაც ჯერ აკრედიტირებული ჟურნალისტები გამოაგდო პარლამენტის შენობიდან.

მე, როგორც პარლამენტის წევრი, ვეცადე, გამოვხმაურებოდი ამ უკანონობას. ამის შემდეგ

მე, პარლამენტის წევრი, პარლამენტიდან გამომაგდეს, – განაცხადა ნიკა მელიამ.

მაიორ ვაჟა სირაძის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად დანიშვნის შესახებ გუშინ, 14 აგვისტოს, გახდა ცნობილი.

სირაძე 2019 წლის თებერვლიდან აგვისტომდე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

ტელეიმედის სკანდალური ფილმის პროდიუსერი ნიკა ლალიაშვილია

ტელეიმედზე გასულ სკანდალურ ფილმზე, რომელსაც საზოგადოების და ოპოზიციის მხრიდან დიდი კრიტიკა მოჰყვა, პასუხისმგებლობა არხის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ნიკა ლალიაშვილმა, აიღო.

– პროდიუსერი ვარ მე. ეს რეპორტაჟი დამზადდა ჩემს მიერ, ჩემი პროდუსინგის ქვეშ. ჩემი ხელმძღვანელობით. ფილმის ავტორი არის მერაბ მამარდაშვილი, რომელიც ბულინგით მოკლეს იმის გამო, რომ სიმართლეს აყენებდა ყველაფერზე მაღლა, – განაცხადა ნიკა ლალიაშვილმა.

მისი თქმით, ფილმის ავტორი არის ის ასეულობით ჩვენი ჯარისკაცი, რომელიც გმირულად შეეწირა სააკაშვილის ავანტიურას.

– ამ ფილმის ავტორი არიან დევნილები, რომლებიც არიან მსხვერპლი ამ ავანტიურის და ბოლოს, ამ ფილმის ავტორი არის ქართული საზოგადოება, რომელმაც მშვენივრად იცის ყველაფერი და რომელსაც 11 წელი უკრძალავდნენ უბრალოდ სიმართლის თქმას.

აღებული არის ის დოკუმენტები, რომელთაც ხელს აწერდა მათ შორის სააკაშვილის ხელისუფლებაც. აღებული არის ევროსაბჭოს დასკვნები. ის ადამიანები არიან გამოყვანილი, ვინც ლაპარაკობენ იმ პერიოდზე და არიან თვითმხილველები ამ ყველაფრის, – განაცხადა ნიკა ლალიაშვილმა.



ფილმზე მასალა მედიაჩეკერმა გამოაქვეყნა.

„ფილმში მოვლენების მსგავსი ცალმხრივი განხილვა, კონტექსტისა და ფაქტების არასწორად წარმოჩენა პირდაპირ იმეორებს აგვისტოს ომის შესახებ უკვე კარგად ცნობილი რუსული პროპაგანდის ნარატივს, ხელს უწყობს 2008 წლის მოვლენებში რუსეთის როლის გამოცლის პოლიტიკას და ანტისახელმწიფოებრივი რიტორიკის გაძლიერებას“ – წერს მედიაჩეკერი.

ოპოზიციამ აღნიშნული ფილმი ოკუპაციის აღიარებად და პუტინის პირდაპირი დაკვეთის შესრულებად შეაფასა.

გარდა ამისა, ხელისუფლებას ოპონენტებმა ფილმის ავტორის ვინაობის დასახელება მოსთხოვეს.

სააკაშვილი: „რუსეთს თბილისის სწრაფი აღებისთვის სამხედრო გზა ეხსნება“

საქართველოს მესამე პრეზიდენტს კობი-გუდაურის მაგისტრალი არ მოსწონს

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კობი-გუდაურის ჩქაროსნული მაგისტრალის პროექტს „ახალ როკის გვირაბს“ უწოდებს. მისი აზრით, ავტობანის აშენების შემთხვევაში, რუსეთს ეხსნება სამხედრო გზა თბილისის სწრაფი აღებისათვის.

– ესაა ახალი როკის გვირაბი. 2008 წელს მე გავეცი გორიდან უკან დახევის ბრძანება მას შემდეგ, რაც მივიღე ცნობა ლარსზე რუსული ჯავშანტექნიკის კონცენტრაციის.

რომ არ დაგვეხია, ეს დაჯგუფება ზუსტად ისე მოაქცევდა ალყაში და ჩახოცავდა ჩვენს ჯარს, როგორც რუსებმა გააკეთეს მოგვიანებით უკრაინულ ილოვაისკში 2014 წელს.

ავტობანის აშენების შემთხვევაში, რუსეთს ეხსნება სამხედრო გზა თბილისის სწრაფი აღებისთვის. ეს 100% პუტინის დაკვეთაა, რომელსაც ივანიშვილი ასრულებს და ტურიზმის განვითარება აქ არაფერ შუაშია, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ინფორმაციით, რამდენიმე დღეში ხელი მოეწერება და წლის ბოლომდე დაიწყება ისტორიული პროექტი – კობი-გუდაურის ჩქაროსნული მაგისტრალი.

– ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე გრძელი გვირაბის მქონე მაგისტრალი და ერთ-ერთი ყველაზე რთული საინჟინრო ნაგებობა ევროპაში. მას სჭირდება შესაბამისი ინვესტიციები, რომლებიც უკვე მოზიდული და ხელმოწერილია, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ 13 აგვისტოს.

საშინელი ავარია რენესთან

დაიღუპნენ დედა-შვილი და მათი მეზობელი ბრილიდან

გუშინ, 14 აგვისტოს, დილით თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალზე, სოფელ რენესთან, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

შემთხვევის შედეგად დაიღუპა 3, დაშავდა 1 ადამიანი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველადი ინფორმაციით, მძღოლს საჭესთან ჩაეძინა.

„თბილისის მიმართულებით მოძრავმა „მერსედესის“ მარკის მსუბუქმა ავტომობილმა, რომელშიც ოთხი მგზავრი იმყოფებოდა, მართვა დაკარგა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ბორდიურს შეეჯახა. სამი მგზავრი ადგილზე დაიღუპა, მათ შორის ორი ახალგაზრდა მამაკაცი და ერთი ქალია.

პირველადი ინფორმაციით, მძღოლს საჭესთან ჩაეძინა, რამაც ავარია გამოიწვია“ – განუცხადეს პირველ არხს შსს-ში.

ავტომობილიდან გარდაცვლილების ამოსაყვანად სამაშველო სამსახურის ჩართვა გახდა საჭირო.

გადარჩა ავტომობილის მძღოლი, რომელიც გორში ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ავარიის შედეგად დაიღუპნენ 55 წლის ქალი, მისი 30 წლის ვაჟიშვილი და მათი მეზობელი, 31 წლის სამხედრო მოსამსახურე.

სამივე მათგანი სოფელ ბრილიდან ტაქსით თბილისისკენ მიდიოდა.

გარდაცვლილები ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილიდან არიან.

– დედა-შვილი და მათი მეზობელი თბილისში მიდიოდნენ ბრილიდან, როდესაც მოხდა ავარია. მეზობლის ბიჭი 31 წლის არის და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელია, საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მსახურობდა. დედა 55 წლის არის, მისი ბიჭი კი 30-ის – უთხრა ქართლი ჯის სოფელ ბრილის ადმინისტრაციული თემის სპეციალისტმა, ვეფხია ჩუბინიძემ.

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით აღიძრა, რაც ტრანსპორტის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთის ვადით 6-დან 10 წლამდე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართული ოცნება“ და ნაციონალები ერთმანეთს დაასრულებენ“

დავით ჭიჭინაძე: „ხალხი ბევრ სიურპრიზს მოუმზადებს ამ ორ დამჟავებულ პოლიტიკურ ძალას“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ნაციონალური მოძრაობა კოალიციით აპირებს ხელისუფლებაში დაბრუნებას, „ქართული ოცნება“ კი მესამედ შეეცდება ხელისუფლებაში დარჩენას, თუმცა, პრემიერი ბახტაძე არ გამორიცხავს ევროპულ ძალებთან კოალიციას. თქვენი პროგნოზი როგორია?

– ახალი არაფერია, დიდი ხანია, ერთმანეთს ეფერებიან, ამ შემთხვევაში ბოკერია და ძმანი მისნი. ჩვენ ვხედავთ, რომ კეზერაშვილს ბიზნესები უბრუნდება, რომელიც აფინანსებს მათ. დაფასებულია ეს ყველაფერი. მერე იტყვიან, რომ ევროპული ღირებულებები აქვთ და კოალიციასაც შეკრავენ, რა იქნება ამაში გასაკვირი და უცნაური? არც არაფერი. ეს მათი არჩევანია. ქართველი ხალხი კი აბსოლუტურად სხვა არჩევანს გააკეთებს.

– გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ არც „ქართულ ოცნებასთან“ და არც ნაციონალურ მოძრაობასთან არ შექმნის კოალიციას.

– აბა, ჩემთან, მით უმეტეს, ვერ შექმნიან. მე არ მჯერა ამ განცხადების. პოლიტიკოსებს ენა ღმერთმა იმიტომ მისცა, რომ რასაც ფიქრობენ, იმის საწინააღმდეგო ილაპარაკონ. მე მათ ქმედებებს ვაკვირდები და მათ ქმედებებში სულ სხვა რამე იკვეთება.

– თქვენ თქვით, რომ ამომრჩეველი სხვა არჩევანს გააკეთებს. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– არჩევნებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო არის დარჩენილი. მანამდე ბევრი რამე შეიცვლება ქვეყანაში. თუ საპრეზიდენტო არჩევნებს ავიღებთ, მაგალითად, ძალიან მარტივად დავინახავთ, თუ როგორ იცვლება ჩვენს ქვეყანაში პროცესები.

ამ ერთ წელიწადში ვნახეთ, როგორ განვითარდა პროცესები. საპრეზიდენტო არჩევნებიდან დღემდე როგორ ცხოვრობს ქვეყანა – ეს არის ყველაზე ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება კიდევ ერთ წელიწადში განვითარდეს მოვლენები.

წინასაარჩევნო პერიოდი ყოველთვის დაძაბული იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც განსხვავებულია, რადგან გადამწყვეტი ფაზაა. ამ გადამწყვეტ ფაზაში ალბათ ბევრი რამე შეიცვლება, მაგრამ ეს არ იქნება ამ ორი პოლიტიკური ძალის სასიკეთოდ.

– „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალურ მოძრაობას გულისხმობთ?

– დიახ, სწორედ მათ. ორივე ძალა ხალხის და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოა. მათ ერთმანეთი უნდა დაასრულონ და ასეც იქნება, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. შეუძლებელია, რომ ეს გაგრძელდეს.

– პარლამენტის თავმჯდომარემ, თალაკვაძემ განაცხადა, ყველა თანაგუნდელი, რომელიც წარმატებული იყო პარლამენტში, მომავალში ღირსეულ ადგილს დაიკავებსო. ის გუნდის სრულ განახლებაზეც საუბრობს. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ახალ სახეებთან დაკავშირებით?

– პარლამენტში „ქართული ოცნების“ გუნდიდან კარგად მომუშავე დეპუტატი მე არავინ მინახავს.

საპარლამენტო უმრავლესობას კარგად რომ ემუშავა, კარგი კანონები შეექმნა, მთავრობაზე საზედამხედველო ფუნქცია კარგად შეესრულებინა, ქვეყანა ამ მდგომარეობაში ნამდვილად არ იქნებოდა. ხალხი ბევრად უკეთესად იქნებოდა. ლარი ამ მდგომარეობაში არ იქნებოდა. ადამიანების სოციალური მდგომარეობა ბევრად უკეთესი იქნებოდა.

მითხარით აბა ერთი, ვინ იმუშავა კარგად, რომელმა მათგანმა შეასრულა თავისი ფუნქცია კარგად?! ბიზნესმენებიც არ ჩანან, ვისაც ხალხი ხმას მისცემს. ხალხი მიხვდა, რომ ბიზნესი საკუთარი თავისთვის ზრუნავს. ამ ქვეყანაში დამოუკიდებელი ბიზნესმენები არ არსებობენ.

– ამას ხაზარაძეზე ხომ არ ამბობთ, რომელიც სექტემბრიდან აპირებს პოლიტიკურად გააქტიურებას?

– არა, კონკრეტულად არავისზე არ ვამბობ.

– „ოცნება“ განახლდება?

– ამ ადამიანებიდან არავის დატოვებენ, თუმცა, მთლიანად განახლებაც შეუძლებელი მგონია. ამის რესურსი არ აქვს „ქართულ ოცნებას“.

– რატომ?

– თავმოყვარე ადამიანი არ მივა „ოცნებაში“ გასაწევრიანებლად. იმის შემდეგ, რაც მოხდა პარლამენტში, როგორ გამოუტანეს განაჩენი ერთ წუთში თავიანთ კოლეგას, დეპუტატს, რომელიც გვერდით ეჯდათ, ნიკა მელიას ვგულისხმობ, ამის მერე არ მგონია, ვინმეს მოუნდეს ამ გუნდის წევრობა.

წარმატებული ადამიანი, რომელსაც თავისი ხედვა აქვს, რომელსაც შექმნა შეუძლია და არა – დანგრევა, რომელიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, არ მგონია, იქ მივიდეს.

– ანუ „ოცნების“ ეს საპარლამენტო შემადგენლობა არ შეიცვლება?

– შემცვლელს ვერ ნახავენ და ისევ შიგნით გადალაგდებიან. არ ჩანს ხალხი, ვინც მათკენ გაიქცევა.

– ნულოვანი ბარიერის პირობებში ალბათ ბევრი პარტია შევა პარლამენტში. რა მოლოდინი გაქვთ, რთული იქნება თანამშრომლობა?



– ეს ახალი ხილია და არავინ იცის, როგორ დამთავრდება არჩევნები, ხალხი რა გადაწყვეტილებას მიიღებს. ყველაფერი გამოჩნდება უკვე წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

მე ვფიქრობ, საკმაოდ ბევრი სიურპრიზი იქნება. თავად ხალხი ბევრ სიურპრიზს მოუმზადებს ამ ორ დამძიმებულ, დამჟავებულ პოლიტიკურ ძალას.

ეკა მიშველაძე: „მედიაზე ზეწოლის ნაციონალების პრაქტიკას „ოცნებაც“ წარმატებით აგრძელებს“

„ჟურნალისტების იარაღი ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა და ხმამაღალი ლაპარაკია“

იაგო ნაცვლიშვილი

13 აგვისტოს ტვ პირველის მიმართ კიბერშეტევა განხორციელდა. არხი რამდენიმე საათი გათიშული იყო. მოგვიანებით ტელეკომპანიამ მუშაობა განაახლა, თუმცა არქივის გარეშე. შესაბამისმა სამსახურებმა აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაიწყეს, თუმცა მოიტანს თუ არა ეს შედეგს, ეს ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშაა.
ეს იყო ცალკეული შემთხვევა თუ ეს უნდა განვიხილოთ მედიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში? — ეს არის მთავარი შეკითხვა, რაც საზოგადოების ერთ ნაწილს აწუხებს. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს მეოთხე პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის, ყოფილი პრესსპიკერი ჟურნალისტი ეკა მიშველაძე პასუხობს.

– კიბერშეტევა, რაც ტვ პირველთან მიმართებით ვნახეთ, არის უბრალო დამთხვევა თუ ეს არის იმ პოლიტიკის გაგრძელება, რაც მედიის მიმართ ბოლო თვეებში გვესმის და ვხედავთ?

– რამდენადაც ვიცი, ამ საქმეზე გამოძიება დაწყებულია. შსს-ს წარმომადგენლები ტელევიზიაში იყვნენ ამ კიბერშეტევის შემდეგ და ალბათ გარკვეული მოკვლევაც დაწყებული იქნება.

ახლა მტკიცებით ფორმაში რამის თქმა ძნელია, მაგრამ ეჭვები არსებობს. სწორედ იმიტომ, რომ მედიის მიმართ არის რაღაც შეტევა. ყოველ შემთხვევაში, დამოუკიდებელი მედია რომ არ მოსწონს ხელისუფლებას, ამას ხელისუფლების წარმომადგენლები თავადაც არ მალავენ. ამაზე ღიად საუბრობენ. ეს მხოლოდ რუსთავი 2-სა და ტვ პირველს არ ეხება.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– ეს არის ცალკეული ჟურნალისტების მიმართ ხოლმე და კეთდება მათ მიმართ სხვადასხვა გამონათქვამები. ეს არც დღეს დაწყებულა და არც გუშინ. ეს წინა ხელისუფლების დროიდან არის დაწყებული და მას ეს ხელისუფლებაც წარმატებით აგრძელებს.

არ შეიძლება დავივიწყოთ არაერთი გადაცემის დახურვა. მათ შორის ჩემი გადაცემის დახურვის, რომლის არანაირი მიზეზი არ არსებობდა. ასევე ინგა გრიგოლიას და კიდევ არაერთი გადაცემა დაიხურა და არაერთი ჟურნალისტის მიმართ იყო გაუგებარი ქმედებები.

შესაბამისად კითხვები ბევრია, თანაც მაშინ, როდესაც დაანონსდა რამდენიმე ახალი გადაცემის შექმნა და ამ დროს იწყება მედიაზე შეტევა. როდესაც დროში ემთხვევა ასე, ეს ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. ეს ცუდია, პირველ რიგში კი თავად ხელისუფლებისთვის. იმიტომ, წინაპირობები რომ არ ყოფილიყო, ასეთი კითხვის ნიშნები არ გაჩნდებოდა.



– ეს აჩენს შთაბეჭდილებას, რომ 2020-ისთვის დაიწყო მზადება და ხელისუფლება გეგმავს დახუროს ყველა საშუალება, სადაც ალტერნატიული აზრი იქნება?

– როგორც ვატყობ, არც ერთ ხელისუფლებას არ მოსწონს მისგან დამოუკიდებელი მედია, 2020-ის არჩევნები ძალიან მწვავე და მნიშვნელოვანი არჩევნებია და, შესაბამისად, კონტროლირებადი მედია ხელისუფლებისთვის ძალიან მომხიბვლელია. ეს ყველაფერი შესაძლოა მართლაც 2020-ის არჩევნებს უკავშირდებოდეს.

მე შემიძლია ჩემი მოკრძალებული რჩევა მივცე ხელისუფლებას, ან ჩემი მოკრძალებული აზრი გამოვთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ პირიქით უკეთესია, როდესაც ბევრია ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი მედია. ეს აჩვენებს, რომ მით უფრო მეტია დემოკრატია და ხელისუფლებას მით უფრო კარგად მუშაობის საშუალება ეძლევა.

მედიის უპირველესი დანიშნულება ხელისუფლების კრიტიკაა. თუ აღარ დარჩა ქვეყანაში ისეთი მედია, რომელიც ხელისუფლებას გააკრიტიკებს და მიანიშნებს მის შეცდომებზე, მაშინ საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ?! რა დემოკრატიაზე, რომელ დემოკრატიულ განვითარებასა და რომელ ევროპულ მიმართულებაზე ვლაპარაკობთ?!

– ჟურნალისტებს რა ბერკეტი გვრჩება და როგორ უნდა მოვიქცეთ ამ ვითარებაში?

– პირველ რიგში, სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ. მე ამას დიდი ხანია ვამბობ. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ჩემი გადაცემა დახურეს. მაშინ ყოველთვის ამას ვამბობდი და ეს არ არის მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც რაღაც მხოლოდ შენ გეხება, კონკრეტულ ადამიანს ან კონკრეტულ მედიასაშუალებას.

იმისათვის, რომ თავი დავიცვათ, იმისათვის, რომ ვიყოთ უფრო ძლიერები, საჭიროა, რომ ერთმანეთის მიმართ სოლიდარულები ვიყოთ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაჩუმება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ფიქრი, რომ ეს მე არ მეხება – მე ახლა თავს კომფორტულად ვგრძნობ და სჯობს, ჩუმად ვიყო და ჩემი ადგილი შევინარჩუნო.

ადრე თუ გვიან, ეს ხელისუფლება თუ სხვა ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს აკონტროლოს მედია და მედიის ვალია, რომ ამას ერთხელ და სამუდამოდ დაუსვას წერტილი და ეს შესაძლებელია მხოლოდ ხმამაღლა ლაპარაკით და ერთმანეთის მიმართ სოლიდარობით.

სხვა ბერკეტი ჩვენს ხელში არ არის.

დეპუტატები, რომლებიც „ოცნების“ 2020-ის სიაში აღარ იქნებიან

ზაზა ხუციშვილი არ უარყოფს, რომ შესაძლოა „ოცნების“ საპარლამენტო სიაში არ იყოს

იაგო ნაცვლიშვილი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ქართული ოცნების“ სიის მასშტაბური განახლებაა მოსალოდნელი. ამის შესახებ მინიშნება პარლამენტის თავმჯდომარემ, არჩილ თალაკვაძემ, გააკეთა. „ახალი თაობის“ ინფორმაციით კი, უკვე ცნობილია რამდენიმე დეპუტატის გვარი, რომლებიც 2020-ის სიაში ვერ მოხვდებიან.

ჩვენი წყაროს ცნობით, სავარაუდო გადაწყვეტილება მიღებულია და სიაში ვერ მოხვდებიან ბიძინა გეგიძე, რომან კაკულია და ზაზა ხუციშვილი, თუმცა გადაწყვეტილება საბოლოო ჯერ არ არის და ამ თემაზე კონსულტაციები კვლავ გრძელდება. აქტიური კონსულტაციების დაწყება კი სექტემბერში იქნება და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მაშინ მიიღებენ სიასთან დაკავშირებით. პოლიტოლოგ ვახტანგ ძაბირაძის ვარაუდით კი, შესაძლოა ამ სამეულს ნუკრი ქანთარიას გვარიც დაემატოს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაზა ხუციშვილი „ახალ თაობასთან“ არ უარყოფს, რომ შესაძლოა „ოცნების“ სიაში არ იყოს და, შესაბამისად, არც

შემდეგი მოწვევის პარლამენტის წევრი იქნება.

არჩილ თალაკვაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას არჩევნების თემაზე ასეთი განცხადება გააკეთა:

„გვაქვს კოალიციური მართვის გამოცდილება, გვაქვს მყარი უმრავლესობით მართვის გამოცდილებაც, რასაც გადაწყვეტს ჩვენი საზოგადოება, რასაც გადაწყვეტს ქართველი ხალხი და ჩვენი ამომრჩეველი, ჩვენ პატივს ვცემთ და შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე. იცით, რომ ჩვენმა გუნდმა დემოკრატიული გადაწყვეტილება მიიღო და შეცვალა საარჩევნო მოდელი“ – აღნიშნა თალაკვაძემ.

კითხვაზე, ვისთან შეიძლება ჩამოაყალიბოს კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“, თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ეს არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული.

„წელს უკვე საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების გულწრფელი მოთხოვნის შესაბამისი ნაბიჯი გადავდგით და ეს არჩევნები 2024 წლიდან გადმოვიტანეთ 2020 წელს. შესაბამისად, პროპორციული მოდელი, ნულოვანი ბარიერით გულისხმობს იმის ალბათობას, რომ რომელიმე პარტია მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას უმრავლესობის მთავრობის დასაკომპლექტებლად ან შესაძლოა, საჭირო გახდეს პარტიებს შორის კოალიციური შეთანხმება. თუ რომელი პარტიები დასხდებიან ერთმანეთთან სასაუბროდ გაერთიანებაზე, ეს არის დამოკიდებული არჩევნების შედეგებზე“ – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

„ოცნების“ საპარლამენტო სიის კონტექსტში კი თალაკვაძე ამბობს, რომ „ყველა თანაგუნდელი, რომელმაც წარმატებით იმუშავა პარლამენტში, გუნდში მომავალშიც თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებს“.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

ჯემალ გამახარია: „კიტოვანი შემოვიდა რუსი გენერლების თანხმობით და თანხლებით“

გულიკო ბალაძე

1992 წლის 14 აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომი დაიწყო აფხაზეთში. ამ თემაზე „ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია პასუხობს.

რამდენიც უნდა ვისაუბროთ იმაზე, შეიძლებოდა თუ არა იმ ომის თავიდან აცილება, იქ რა შეცდომები დავუშვით, რა გავაკეთეთ არასწორად, რაც მოხდა, იმას ვერ ვუშველით

– ბატონო ჯემალ, 14 აგვისტო არის დღე, რომელმაც ჩვენი უახლესი ისტორია შეცვალა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის პრობლემა გააჩინა. ამ დღეს, ფაქტობრივად, რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო აფხაზეთში. დღეს თქვენ რას გრძნობთ, როგორ აფასებთ იმ მოვლენებს?

– ძალიან მძიმე შეგრძნებაა, როდესაც 14 აგვისტოზე, იმ დღეზე ფიქრობ. ყველაფერი ძალიან კარგად გვახსოვს (ყველაფერი ჩვენ თვალწინ მიმდინარეობდა), როგორც მზადება 14 აგვისტოსთვის, ისე ეს დღე და მისი კატასტროფული შედეგები. თუ გავითვალისწინებთ დღეს აფხაზეთში არსებულო ვითარებას იმ შედეგებს, რაც დადგა 14 აგვისტოს დაწყებული ომით, აფხაზებისთვისაც 1992-93 წლების მოვლენები არის კატასტროფული. თუ 14 აგვისტოს დაწყებული ომის შედეგები არ შეიცვალა, ეს კატასტროფა კიდევ უფრო გაღრმავდება.

– აფხაზები თუ გრძნობენ იმ კატასტროფას, რაც 14 აგვისტოს დაწყებულმა ომმა მოგვიტანა?

– ვერ ვიტყვი, რომ აფხაზეთის მთელი მოსახლეობა ამას გრძნობს და შედეგები გაცნობიერებული აქვს. თუმცა, ბევრმა ადამიანმა შესანიშნავად იცის, ვინ დაიწყო ეს ომი, რატომ დაიწყო, რა მიზანს ისახავდა ის, ვინც რეალურად, დაიწყო ომი.

– რას გულისხმობთ?

– რეალურად ომის დაწყებაში ვგულისხმობ იმას, კიტოვანი რომ შემოვიდა, ეს არაფერს ნიშნავს.

– რატომ?

– კიტოვანი აფხაზეთში რუსი გენერლების თანხლებით შემოვიდა. ეს ბევრმა არ იცის და ამ ფაქტს ხაზს არ უსვამენ, რომ კიტოვანი შემოვიდა რუსი გენერლების თანხმობით და თანხლებით. რამდენიმე დღე რუსი გენერლები სოხუმში იმყოფებოდნენ კიტოვანთან ერთად, ე.წ. გოსდაჩაზე. ასე რომ, აქედან ძალიან კარგად ჩანს, რეალურად, ვინ დაიწყო და რისთვის დაიწყო ომი. ეს დღევანდელი გადასახედიდან ნებისმიერმა ადამიანმა იცის.

– თქვენ თქვით, კიტოვანი აფხაზეთში რუსი გენერლების თანხლებით შემოვიდაო. მანამდე რუსმა გენერლებმა ახალქალაქის სამხედრო ბაზიდან შეიარაღება გადასცეს კიტოვანს. ეს ბაზა შემდეგ დაიშალა.

– მაშინ ბაზა არ დაშლილა (ბაზა დაიშალა სტამბულის სამიტის გადაწყვეტილების საფუძველზე, 9-10 წლის შემდეგ), მაგრამ 1992 წელს დიდძალი შეიარაღება გადაეცა ქართულ მხარეს, რომელიც ახალქალაქიდან სოხუმისკენ წამოვიდა.

– აქეთ ქართულ მხარეს და კიტოვანს მისცეს შეიარაღება, იქით აფხაზ სეპარატისტებს ეხმარებოდნენ იარაღით და ცოცხალი ძალით. რუსებისთვის მთავარი იყო ომში ჩავბმულიყავით და შევარდნაძის მეთაურობით საქართველო კიდევაც ჩაება ომში.

– ეს იყო ქართული მხარის დიდი შეცდომა. მან იმ სცენარით იმოქმედა, რომელიც დაწერილი იყო ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ჩვენი ქვეყნის დასანგრევად. რუსებმა აქეთ შეგვაიარაღეს, გაგვიშვეს იქით. იქით აფხაზებს აძლევდნენ იარაღს. ომამდე, მით უმეტეს, აიარაღებდნენ. ასე გააჩაღეს ომი მაშინ, როდესაც ჩვენ, რეალურად, ვეომებოდით არა აფხაზებს, არამედ რუსებს. აფხაზებთან რომ გვეომა, ომი რამდენიმე დღეში დამთავრდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენ რუსეთის იმპერიას ვეომებოდით.

– რატომ არ გვეყო გონიერება, ეს ომი თავიდან აგვეცილებინა? ფაქტია, საქართველო სათანადო სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა. რუსეთის სათამაშოდ გადავიქეცით ჩვენც და აფხაზებიც. ამიტომ საქმე მივიდა კატასტროფამდე.

– ის, რაც მოხდა 1991-92 წლების მიჯნაზე, ანუ სახელმწიფო გადატრიალება და შემდეგ ომი აფხაზეთში, ეს არის ერთი ჯაჭვის ორი რგოლი. როგორც სახელმწიფო გადატრიალება 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში, ასევე ომი აფხაზეთში ერთი ხელით და ერთი ცენტრიდან იმართებოდა. მიზანი იყო იმ რეალობის შექმნა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, რაც დღეს არის, მაგრამ ეს უკვე ჩავლილი მატარებელია.

ახლა ვფიქრობთ იმაზე, რა უნდა გავაკეთოთ და როგორ უნდა გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან. იმას, რაც მოხდა, სამწუხაროდ, ვერანაირად ვუშველით, იმ ბორბალს ვერანაირად უკან ვერ დავატრიალებთ. ახლა მთავარია მთელი ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ ვითარება გამოვასწოროთ.

– დასკვნა ხომ უნდა გამოვიტანოთ.

– დასკვნა უნდა გამოვიტანოთ და ამ დასკვნის მიხედვით ვიმოქმედოთ. დღეს ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია. ოკუპანტს ნიღაბი უკვე ჩამოხსნილი აქვს. ის მშვიდობის მყოფელის როლს უკვე ვერ ითამაშებს, როგორც 90-იან წლებში. მთელმა მსოფლიომ რუსეთი ოკუპანტად აღიარა.

დეოკუპაციის საქმეში ჩვენ გვმართებს მთელი საზოგადოების ერთიანობა, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსთვის პრიორიტეტი და მთავარი ამოცანა სწორედ დეოკუპაციაა.

– გვეგონა, ომის ქარცეცხლი ჩავლილი იყო, მაგრამ 2008 წელს ისევ აღმოვჩნდით ფართომასშტაბიან ბრძოლებში რუსეთთან. ომი არ დასრულებულა. დღეს, 14 აგვისტოს, რუსეთმა ცხინვალის რეგიონში მავთულხლართების გაბმა ისევ განაახლა. ამით რუსეთმა შეგვახსენა, რაც გაკეთდა 14 აგვისტოს მოვლენებით, თუ მოვინდომებ, მომავალში ისევ იმას გავაკეთებ რამდენჯერაც მომესურვებაო. აქედან რაღაც დასკვნები არ უნდა გამოვიტანოთ?

– რამდენიც უნდა ვისაუბროთ იმაზე, შეიძლებოდა თუ არა იმ ომის თავიდან აცილება, იქ რა შეცდომები დავუშვით, რა გავაკეთეთ არასწორად, რაც მოხდა, იმას ვერ ვუშველით. ჩვენმა ქვეყანამ დასკვნები დიდი ხანია გააკეთა, მაგრამ რას ვაკეთებთ იმ დასკვნებიდან გამომდინარე, სხვა საკითხია. ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა ეს არის დეოკუპაციის პოლიტიკა. აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან ნდობის აღდგენის პოლიტიკა. ეს არის ის, რის გაკეთებაც არის დღეს შესაძლებელი, მაგრამ ამას როგორ ვაკეთებთ, ყველაფერს ვაკეთებთ თუ არა, ეს უკვე მეორე საკითხია.

– რა კეთდება აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან ნდობის აღდგენისთვის?

– ძალიან ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ბევრად მეტია გასაკეთებელი. ჩვენ გვაქვს შესანიშნავი სამშვიდობო პროგრამა: „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც წელიწადზე მეტია, რაც მივიღეთ, მაგრამ დღემდე სათანადოდ ამოქმედებული არ არის. აღნიშნული პროგრამა სრულად უნდა ამოქმედდეს. მუშაობა მასშტაბურად უნდა გაიშალოს და განხორციელდეს ის პროექტები, რომელიც ამ პროგრამაშია. ამ პროგრამამ ენგურს გაღმა ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა.

აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან უფრო მეტად უნდა ვიმუშაოთ, რაც დიდი ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც საკმარისი რაოდენობით არ გაგვაჩნია. საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება, მაგრამ ბევრად მეტია საჭირო. დღეს ისეთი პირობებია შექმნილი, განსაკუთრებით, აფხაზეთში, რომ ყოველი დახარჯული თეთრი, გარკვეული პერიოდის შემდეგ, თავის შედეგს აუცილებლად გამოიღებს. ძალიან დიდი ფული იხარჯება, მაგრამ მეტია გასაკეთებელი.

– ბოლო პერიოდში არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის, საჭიროა რუსეთს მოველაპარაკოთო. ერთხელ მითხარით, რომ ომის წლებში თქვენ მოლაპარაკებებზე იმყოფებოდით მოსკოვში.

– დიახ, 3 სექტემბრის შეთანხმების წინა პერიოდში ვიმყოფებოდით მოსკოვში, მაგრამ ხელშეკრულების ხელმოწერას არ დავსწრებივარ, არ წავედი. დუმაშიც ვიყავით, საქართველოს მიმართ ყველაზე აგრესიულად განწყობილ დეპუტატთა ჯგუფს შევხვდით. იქ ჩვენ პრესკონფერენციები და შეხვედრები ჩავატარეთ.

– ზოგი ამბობს, რუსებთან მოლაპარაკებას ალტერნატივა არ აქვს. რუსეთთან მოლაპარაკება და შეთანხმება შეიძლება?

– საქართველოში არ მინახავს ისეთი ხელისუფალი, ისეთი მთავრობა, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში რუსეთთან მოლაპარაკების წინააღმდეგი ყოფილიყო. არც დღეს არის საქართველოში ის ხელისუფლება, რომელსაც არ ესმის, რამხელა მნიშვნელობა აქვს რუსეთთან მოლაპარაკებას, მაგრამ მინდა იქით დაგისვათ კითხვა: რაზე უნდა მოველაპარაკოთ?

– რას გულისხმობთ?

– რუსეთის მხრიდან სულ ახლახან საქვეყნოდ ითქვა, აღიარეთ ის ახალი რეალობა, რომელიც არსებობს სამხრეთ კავკასიაშიო. ამ თემაზე მოლაპარაკება არასოდეს შედგება.

რამდენი წელიც უნდა გავიდეს, ქართულმა მხარემ არასოდეს არ უნდა დაუშვას, რომ აღიაროს ის ე.წ. ახალი რეალობა, რომელიც არსებობს სამხრეთ საქართველოში, ანუ ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის აღიარებას არასოდეს დავუშვებთ. ქართულმა მხარემ ეს რომ დაუშვას, თვითმკვლელობა იქნება. საქართველო და ქართველი ხალხი თვითმკვლელობას არასოდეს ჩაიდენს.

თუ იქნება მოლაპარაკება ამ პრობლემის მოგვარებაზე, რასაკვირველია, ასეთი მოლაპარაკება უნდა შედგეს. მე არ ვიცნობ არც ერთ პიროვნებას საქართველოში, მით უმეტეს, პოლიტიკურ სპექტრში, რომელიც რუსეთთან ასეთი მოლაპარაკების წინააღმდეგი იქნება, მაგრამ რუსეთის მიერ შექმნილი რეალობის აღიარებაზე დიალოგი ყოვლად წარმოუდგენელი და დაუშვებელია.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დეპუტატები, რომლებიც „ოცნების“ 2020-ის სიაში აღარ იქნებიან

როგორც ჩანს, ეს სამი დეპუტატი წარმატებულად მომუშავე დეპუტატებს შორის არ მოიაზრებიან. კაკულია და გეგიძე ის დეპუტატები არიან, რომლებსაც მმართველი გუნდი არაერთხელ გაუკრიტიკებიათ. მათ შორის მათ არც ნიკა მელიასთვის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნას დაუჭირეს მხარი. სავარაუდოა, რომ სწორედ ეს გახდა წყალგამყოფი მმართველ გუნდთან. ზაზა ხუციშვილი კი ურჩობით არასდროს გამოირჩეოდა.

ზაზა ხუციშვილმა გვითხრა, რომ „ქართული ოცნების“ კონსულტაციებში თავად მონაწილეობა არ მიუღია.

„მე რამდენჯერმე გაკეთებული მაქვს ამაზე განცხადება, რომ მე არ გახლავართ პარტიის წევრი. მე პარტია „ქართულ ოცნებაში“ არ ვარ. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ვარ, მაგრამ დასახელებული ვარ, როგორც მაჟორიტარობის კანდიდატი ამ პარტიის მხრიდან, მაგრამ რადგანაც პარტიის წევრი არ ვარ, შესაბამისად, არც პარტიულ საქმიანობაში ვარ ჩართული. ამიტომ, ამ კონსულტაციებში არ მიმიღია მონაწილეობა და არც ის ვიცი, რეალურად იყო თუ არა ასეთი შეხვედრა.

რაც შეეხება თქვენს ინფორმაციას, რომ შესაძლოა შემდეგი მოწვევის პარლამენტში აღარ ვიყო, ამაზე გიპასუხებთ, იქიდან გამომდინარე, რომ პარტიული არ ვარ, თუ პარტიული არჩევანი არ გავაკეთე, შესაბამისად, როგორც ახლა ვარ უპარტიო დეპუტატი, ამის საშუალებას აღარ მაძლევს ფორმატი. თვითონ გუნდის განწყობა როგორია, ამაზე პასუხი არ მაქვს“ – ამბობს ხუციშვილი.

კითხვაზე, აქვს თუ არა მზადყოფნა, რომ პარტიულ სიაში იყოს და პარტიის წევრი გახდეს? – დეპუტატი გვეუბნება, რომ ამაზე ჯერ არ უფიქრია.

„სიმართლე გითხრათ, ამაზე ჯერ არ მიფიქრია. პარტიულობაზე ცხოვრებაში არ მიფიქრია და ასეთი არჩევანი უნდა დადგეს. ჯერჯერობით ამაზე არ მიფიქრია და არანაირი გადაწყვეტილება არ მაქვს მიღებული“ – უთხრა „ახალ თაობას“ ზაზა ხუციშვილმა.

ჩვენ რომან კაკულიასთან დაკავშირებაც ვცადეთ, თუმცა მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე ამბობს, რომ ცვლილებები იქნება სიაში, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ ეს ვერაფერ შედეგს ვერ მოუტანს თუ საქმით არ დაანახეს საზოგადოებას.

„გარკვეულწილად უკვე ახალი გუნდია და ეს ახალი გუნდი უკვე ასპარეზზეა. სია ივანიშვილთან შეთანხმებით დაკომპლექტდება, მაგრამ ვინ იქნება სიის წარმდგენი, ესენი ალბათ ახალი სახეები იქნებიან. იგივე თალაკვაძე იქნება და სხვებიც, ვინც ახალ გუნდში მოიაზრებიან.

რაც შეეხება იმას, წაადგება თუ არა ახალი სია „ოცნებას“, მას სია კი არ სჭირდება, არამედ რეალური რაღაც პროგრამა და რეალური საქმის გაკეთება, რომელიც რაღაც რეიტინგს მოუტანს. სია ვინც არ უნდა წარადგინოს, მაინცდამაინც დიდი რეიტინგით ვერ სარგებლობს და არ მგონია, რომ რაღაც სიკეთე მოიტანოს. მას სჭირდება პროგრამა, ცვლილებები და საქმის გაკეთება და ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ რაღაცა შეცვალა.

სიის განახლება გუნდის გადახალისებას ნიშნავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოსახლეობის მხარდაჭერას მოიპოვებენ. საჭიროა, პროგრამის შემუშავება და მისი რეალიზება. პროგრამაც ისეთი უნდა შეარჩიონ, რომელიც მოსწრებადი იქნება. ახალი გუნდის წარდგენა თალაკვაძის მეთაურობით არანაირ შედეგს არ მოიტანს. საჭიროა რეალური რეორგანიზაცია და რეალური სამოქმედო გეგმის დადება. თუ ეს გეგმა აქვთ, მუშაობა ადრე უნდა დაეწყოთ, მაგრამ იციან კი, რა უნდა გააკეთონ?!

დღეს რასაც ვხედავ, დიდი ინტელექტუალური რესურსი არ აქვს იმ მხრივ, სადაც იდეების გენერირება ხდება. ასეთი რამე არ არსებობს. კომპლექსური და მოულოდნელი სვლებია საჭირო, რასაც სჭირდება ძალიან მობილური და ჩამოყალიბებული ხედვის გუნდი. ასეთი გუნდი არ არის „ოცნებაში“. დღეს რაც არის, ეს არის საკუთარი მომხრეებით პარლამენტის დაკომპლექტების მცდელობა. ეს არის ის, რაც ხდება. ხუციშვილი, გეგიძე და ნუკრი ქანთარია იქნებიან თუ არა ამ სიაში, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს“ – გვითხრა ვახტანგ ძაბირაძემ.

რა იქნება „ქართულ ოცნებაში“, ამას დაზუსტებით ვერავინ იტყვის, მაგრამ ფაქტია, შემოდგომიდან „ოცნებაში“ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი გავლენების მოსაპოვებლად. სექტემბრიდანვე ხელისუფლებაში სამთავრობო ცვლილებებიც ანონსდება.

ქართული კომპანია ამერიკული სანქციების სიაში მოხვდა

ქართული კომპანია ამერიკული სანქციების სიაში მოხვდა – გუშინ, 14 აგვისტოს, შეერთებულმა შტატებმა იმ კომპანიების ჩამონათვალი გამოაქვეყნა, რომელთაც ვაშინგტონი სანქციებს უწესებს.

მათ შორის არის თბილისში რეგისტრირებული კომპანია – „ქართული პეტროქიმია და ავიატექნიკა.“

ინდუსტრიისა და უსაფრთხოების ბიუროს მიერ გავრცელებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქართული კომპანია შეეცადა, უკანონოდ შეესყიდა აკრძალული პროდუქცია ირანისთვის.

ეს კომპანია თბილისში, მოსკოვის გამზირის 35 ნომერში მდებარეობს. თუმცა, ადგილზე მისულ „კურიერის“ გადამღებ ჯგუფს ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსი დახვდა.

საქმე ეხება ირანში პროდუქციის ექსპორტს, რაც ამერიკული კანონმდებლობით აკრძალულია და რაც მისი მხრიდან სანქციების დაწესებას იწვევს იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც მსგავს ქმედებას განახორციელებენ.

რუსთავი 2-ის ინფორმაციით, 2016 წელს, ილინოისის შტატის სასამართლომ, ირანის მოქალაქის, საიდ დვალად ბეიგის მიმართ დაადგინა, რომ ის ამერიკული წარმოების მეტალურგიული პროდუქციის ექსპორტს ირანში ახორციელებდა. მის საკუთრებაში არსებობდა რამდენიმე კომპანია, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ თბილისშია რეგისტრირებული. გარდა ამისა, მას კომპანიები რეგისტრირებული ჰქონდა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებსა და მალაიზიაში.

ირანის მოქალაქემ საქართველოში კომპანია 2008 წელს დაარეგისტრირა. ქართულმა კომპანიამ კი ილინოისში მეტალურგიული კომპანიისგან შეიძინა ალუმინის მილები და საქართველოში მიღებული სასაქონლო პროდუქცია ექსპორტით არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში მოხვდა. აღნიშნული კი ამერიკული კანონმდებლობით აკრძალულია.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, განმარტებებს არ აკეთებს.

პროკურატურა: „ნოდარ გამყრელიძემ დედა მოკლა, რაშიც მამა, ომარ გამყრელიძე, დაეხმარა“

ომარ გამყრელიძისა და მისი შვილიშვილის საქმეები გაერთიანდა

გუშინ, 14 აგვისტოს, თელავის რაიონულ სასამართლოში ყანდაურაში მომხდარი მკვლელობის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო.

„პრაიმტაიმმა“ მოიპოვა ბრალის დადგენილება, რითიც ირკვევა, რომ პროკურატურა უშუალოდ მკვლელობას არა ომარ გამყრელიძეს, არამედ მის ვაჟს, ნოდარ გამყრელიძეს ედავება, ისიც მხოლოდ ერთ ადამიანთან მიმართებაში:

„ნოდარ გამყრელიძეს, გამოძიებით დაუდგენელი მოტივით, კონფლიქტი ჰქონდა თავის დედასთან, ელიზა გამყრელიძესთან, რის გამოც, შურისძიების მოტივით, გადაწყვიტა ელიზა გამყრელიძის განზრახ მკვლელობა.

ომარ გამყრელიძემ, ელიზა გამყრელიძის განზრახ მკვლელობაში დახმარების მიზნით, ნოდარ გამყრელიძეს გადასცა გეკო 23 მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც ომარ გამყრელიძე თავის საცხოვრებელ სახლში მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა“.

ბრალის დადგენილების მიხედვით იკვეთება, რომ ომარ გამყრელიძეს გამოძიება მხოლოდ ერთი ადამიანის მკვლელობაში დახმარებას ედავება.

ომარ გამყრელიძის ადვოკატი, გილერ ენდელაძე „პრაიმტაიმთან“ განმარტავს, გავრცელებული ინფორმაცია, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი კიდევ ოთხი ადამიანის მკვლელობაში დაეხმარა ვინმეს, სიმართლეს არ შეესაბამება.

– ჯერ მკვლელი არ დაუდგენიათ და ეს ვის დაეხმარა? ქვეყანას აცნობეს, ოთხი პირი მოკლაო და აღმოჩნდა, რომ ერთის მკვლელობაში დახმარებას ედავებიან. გარდა ამისა, ვინც მკვლელი ჰგონიათ, იმას თურმე დანაშაული უმოტივოდ ჩაუდენია და იმასაც, მხოლოდ დედა მოუკლავს, – ამბობს ენდელაძე.

მისი ინფორმაციით, ბრალი რაც ჰქონდა ომარ გამყრელიძეს 5 ადამიანის მკვლელობასთან დაკავშირებით, მოხსნილია.

– როდესაც საქმე გადავიდა სასამართლოში, ბრალი მოუხსნეს მკვლელობაზე და დაუტოვეს მხოლოდ მეუღლის მკვლელობაში დახმარება. მკვლელი, პროკურატურის აზრით, არის შვილი ნოდან გამყრელიძე.

იგივე უაზრობამდე მივიდნენ, ანუ მამა დაეხმარა შვილს, მოეკლა დედა და ძმა. ამაზე მტკიცებულებები არ აქვთ, მოწმე არ არსებობს, – აღნიშნა ადვოკატმა.

გილერი ენდელაძის მტკიცებით, მკვლელი გამყრელიძეების ოჯახის არც ერთი წევრი არ არის და ის არ გამორიცხავს, რომ 5 ადამიანის მკვლელობა ნოდარ გამყრელიძის საქმიანობას უკავშირდებოდეს.

– ჩემი აზრით, ეს უნდა უკავშირდებოდეს ნოდარ გამყრელიძის ცხოვრებას. ის 90-იანი წლებიდან სამხედრო პირი იყო, სპეცრაზმშიც მსახურობდა, ლაფანყურის ოპერაციაშიც მონაწილეობდა. არ არის გამორიცხული, მის საქმიანობას უკავშირდებოდეს ეს ყველაფერი და სწორედ ნოდარისთვის მივიდნენ ყანდაურაში.

ვიმეორებ, პროკურატურას მოწმეები არ ჰყავს. უბრალოდ ეს საქმე როგორღაც მოათრიეს სასამართლომდე, – განაცხადა ადვოკატმა.

„პრაიმტაიმის“ მიერ მოპოვებულ საქმის მასალებში ელიზა გამყრელიძესთან ერთად მოკლული კიდევ ოთხი პირის შესახებ არაფერია ნათქვამი. ექსპერტიზით მხოლოდ მათი გარდაცვალების მიზეზი, დრო და ადგილია დადგენილი.

– სამწუხარო პრაქტიკაა, როცა საზოგადოებამ იცის ერთი და სინამდვილე არის მეორე. ვიცოდით, თითქოს ხუთივე ერთმა ადამიანმა მოკლა, თან ქონებრივი დავის მოტივით. აღმოჩნდა, რომ კონფლიქტის მოტივი დადგენილიც არ არის, – განაცხადა „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტმა, ლია ხუროშვილმა.

❖ ❖ ❖

სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე 85 წლის ომარ გამყრელიძისა და მისი შვილიშვილის საქმეები გაერთიანდა.

ეს გადაწყვეტილება თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, მამუკა წიკლაურმა გამოაცხადა.

დაცვის მხარე მოითხოვდა ორივე ბრალდებულის საქმის გაერთიანებას, რაც მოსამართლემ გაითვალისწინა.

დაკავებულების ადვოკატი მიიჩნევს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება სამართლიანი და სწორია.

– საქმის გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება არის სწორი. ვფიქრობ, კარგი დასაწყისია ამ საქმეზე მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებისათვის, – აღნიშნა ადვოკატმა გილერი ენდელაძემ.

არც ერთი დაკავებული ბრალს არ აღიარებს.

მომდევნო სასამართლო სხდომა 15 აგვისტოს, 13:00 საათზე ჩაინიშნა.

ადვოკატი კოტეტიშვილი: „რა უკავია ხელში მიხეილ კალანდიას, არ ჩანს“

პროკურატურა 150 მოწმის დაკითხვას გეგმავს

გუშინ, 14 აგვისტოს, ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით დაკავებული მიხეილ კალანდიას სასამართლო გაიმართა.

კალანდიას ადვოკატის, ანა კოტეტიშვილის, განცხადებით, სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეები ადასტურებენ, რომ დავით სარალიძისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების დროს, ტამპონის მიბჯენისას, შესაძლოა მათ მცირე დეფორმაცია შეეტანათ დაჭრილის სხეულზე, რის გამოც შეუძლებელია დადგინდეს, რა იარაღითაა მიყენებული ჭრილობა.

როგორც ანა კოტეტიშვილმა ჟურნალისტებს სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, შესაძლოა, მკვლელობის იარაღი სხვა იყოს.

– მოწმეებმა დაცვის მხარისთვის ძალიან მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთეს, რომ სამედიცინო მანიპულაციების შედეგად მათ კონკრეტულ და მნიშვნელოვან ჭრილობაზე გარკვეული სახის ზემოქმედება მოახდინეს. რაც არის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, სწორედ ამ გარემოების ირგვლივ მისცეს მათ ჩვენებები.

სასწრაფოს ექიმებმა განმარტეს, რომ როდესაც შემთხვევის ადგილიდან დაჭრილ მდგომარეობაში აიყვანეს დავით სარალიძე, მათ განახორციელეს სამედიცინო მანიპულაცია, კონკრეტულ ჭრილობაზე მათ მიაბჯინეს ტამპონი, რომელსაც შესაძლოა, გარკვეული სახის დეფორმაცია შეეტანა ჭრილობაში, – განაცხადა კოტეტიშვილმა.

შესაძლოა, სხვა იყოს მკვლელობის იარაღი?

ამ კითხვას კოტეტიშვილი ასე პასუხობს:

– რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ბრალდების მხარე უთითებს, რომ კონკრეტულად ეს ჭრილობა, რომელიც ღია არის და შესაძლოა, მიეყენებინა მიხეილ კალანდიას, ამ ბრალს გამორიცხავს.

ადვოკატის განცხადებით, პროკურატურას არ აქვს ნივთიერი მტკიცებულებები კალანდიას ბრალის დასადასტურებლად.

ვიდეომტკიცებულებით, რომელიც საქმეში დევს და ჩატარებულია ექსპერტიზა, ვერ დგინდება, რა საგანი უჭირავს ხელში მიხეილ კალანდიას.

– პროკურატურას რა მასალებიც ჰქონდა წარმოდგენილი სასამართლოს დღევანდელ სხდომაზე და ჩვენთვისაც არის ცნობილი, ნივთიერი მტკიცებულება საქმეში არ არსებობს.

რაც შეეხება ვიდეომტკიცებულებას და წერილობით მტკიცებულებებს, ეს არის ძირი საქმიდან გადმოტანილი მტკიცებულებები. რაც მიხეილ კალანდიას ბრალი წარედგინა, ახალი მტკიცებულებები მისი ბრალის დასადასტურებლად პროკურატურას არ წარუდგენია.

რაც შეეხება ვიდეოჩანაწერს, მასზე ჩატარებულია შესაბამისი ექსპერტიზა და არ არის დადგენილი კონკრეტული საგანი. რა უკავია ხელში მიხეილ კალანდიას, არ ჩანს. ეს ის ვიდეომტკიცებულებაა, სადაც ექსპერტი ვერ შიფრავს, რა უკავია ხელში მიხეილ კალანდიას, – განაცხადა ადვოკატმა კოტეტიშვილმა.

კომენტარი პროკურორმაც გაკეთა.

ბესიკ ქვარცხავას განცხადებით, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე 150-მდე მოწმის დაკითხვა იგეგმება.

– დღევანდელ სხდომაზე ორი მოწმე დაიკითხა. ესენი გახლდათ სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის ექიმები, რომლებიც იმყოფებოდნენ დანაშაულის ჩადენის შემდგომ შემთხვევის ადგილზე. მათ გაუწიეს გარდაცვლილ პირს პირველადი სამედიცინო დახმარება. შესაბამისად, ხსენებულმა მოწმეებმა დაადასტურეს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარკვეული გარემოებები, რომელიც პირდაპირ კავშირშია სისხლის სამართლის საქმესთან და მიხეილ კალანდიასთვის წარდგენილი ბრალდების შინაარსთან, – აღნიშნა პროკურორმა.

მისივე განცხადებით, პროკურატურას ჰყავს მოწმეები, რომლებიც პირდაპირ ადასტურებენ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც პირდაპირ კავშირშია წარდგენილი ბრალდების შინაარსთან.

– მე მოკლებული ვარ შესაძლებლობას, კონკრეტული თარიღი გითხრათ, რომელი მოწმე რა დროს დაიკითხება, მაგრამ იმ კონკრეტულ ვადაში, რა ვადაც არსებობს საპროცესო კოდექსში საქმის არსებითი განხილვისთვის, ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, დავკითხოთ ყველა ის მოწმე, რომელიც წარმოდგენილი გვყავს დასაკითხ პირთა სიაში, – განაცხადა პროკურორმა ქვარცხავამ.

მისივე თქმით, სასამართლოზე წარმოდგენილი იქნება არაერთი ვიდეოჩანაწერი, ათეულობით წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულება.

– გვჯერა, რომ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლოს მხრიდან მიღებული იქნება ერთადერთი, სამართლიანი, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, – დასძინა პროკურორმა ქვარცხავამ.

შემდეგი სასამართლო სხდომა 16 აგვისტოს, 11:00 საათზე გაიმართება.

სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამიას საჩივარი დაუშვებლად ცნო

თბილისის სააპელაციო სასამართლომ რუსთავი 2-ის ყოფილი გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას ადვოკატის, დიმიტრი საძაგლიშვილის სააპელაციო საჩივარი, გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევის გამო, დაუშვებლად ცნო.

„თბილისის სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მომართა ბრალდებულ ნიკა გვარამიას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმა, რომელმაც მოითხოვა ნიკა გვარამიას მიმართ 2019 წლის 11 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გირაოს და დამატებითი შეზღუდვის ღონისძიების გაუქმება.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ შეამოწმა საჩივრის შესაბამისობა დასაშვებობისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლით დაადგინა, რომ ბრალდებულ ნიკა გვარამიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილია 2019 წლის 11 აგვისტოს 01 საათსა და 30 წუთზე და, შესაბამისად, მისი სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების 48 საათიანი ვადა ამოიწურა 2019 წლის 13 აგვისტოს 01 საათსა 30 წუთზე. ბრალდებულ ნიკა გვარამიას ინტერესების დამცველი ადვოკატის დიმიტრი საძაგლიშვილის მიერ განჩინების გამომტან თბილისის საქალაქო სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2019 წლის 13 აგვისტოს 17 საათზე და 39 წუთზე, ანუ გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი 48 საათიანი ვადის გასვლის შემდეგ, 16 საათის დაგვიანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ ბრალდებულ ნიკა გვარამიას ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი“ – აცხადებენ სააპელაციო სასამართლოში.

ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩაზე მეორე სართულის აივანი ჩამოინგრა

14 აგვისტოს, გამთენიისას, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩაზე მეორე სართულის აივანი ჩამოინგრა.

ნგრევის შედეგად არავინ დაშავებულა, სახლშიც არავინ იმყოფებოდა.

ადგილზე მობილიზებული იყო სამაშველო და საპატრულო ეკიპაჟები. სამსართულიან სახლს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს.

მოსახლეობა დედაქალაქის მერიასა და გამგეობას უყურადღებობაში ადანაშაულებს. მათი განცხადებით, არაერთხელ მიმართეს კორპუსისთვის აღდგენითი სამუშაოების ჩატარების თაობაზე გამგეობას, თუმცა პასუხი არ მიუღიათ.

რუსთავში მამაკაცმა ძმა და ცოლი დაჭრა

რუსთავში, ჭყონდიდელის დასახლებაში მამაკაცმა ძმა და ცოლი დაჭრა.

42 წლის მამაკაცმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა უმცროსი ძმის მეუღლეს. ცოლს მეუღლე გამოექომაგა და ძმებს შორის კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. 32 წლის მამაკაცმა დანა აიღო და უფროს ძმას რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

ძმების ჩხუბის დროს მათ გაშველებას უმცროსი ძმის მეუღლე შეეცადა და შემთხვევით ისიც დაიჭრა.

სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა დაჭრილები სამედიცინო დაწესებულებში გადაიყვანა. შემთხვევის ადგილზე პოლიცია თავად ბრალდებულმა გამოიძახა, 32 წლის მამაკაცი დაკავებულია.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოჯახის წევრების მიმართ ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ბრალდებით, 1987 წელს დაბადებული დ.ა. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 13 აგვისტოს რუსთავში, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღით სხეულზე დაზიანება მიაყენა ძმას – 1977 წელს დაბადებულ კ.რ.-ს და მეუღლეს – 1978 წელს დაბადებულ გ.გ.-ს, რომელიც მათ გაშველებას ცდილობდა.

დაშავებულებს სამედიცინო დახმარება გაეწიათ. მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

გამოძიება ოჯახის წევრების მიმართ ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 11-პრიმა 120-ე მუხლით მიმდინარეობს.

ინფორუსთავი

ნატოს გამანადგურებელი შოიგუს თვითმფრინავს მიუახლოვდა

ნატოს ფ-18 ტიპის გამანადგურებელი 13 აგვისტოს რუსეთის თავდაცვის მინისტრის თვითმფრინავთან მიახლოებას შეეცადა.

ის ესპანეთის საჰაერო ძალების კუთვნილებაა.

– ვიდეოში ნაჩვენები გამანადგურებელი ესპანურია და ის ნატოს კონტროლის ქვეშ იმყოფება, – განაცხადა ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსპიკერმა.

13 აგვისტოს რუსულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ალიანსის ფ-18 ტიპის გამანადგურებელმა ბალტიის ზღვის თავზე რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს თვითმფრინავთან მიახლოება სცადა, თუმცა ამის საშუალება მას რუსულმა გამანადგურებელმა არ მისცა.

მოგვიანებით, ნატოში განმარტეს, რომ გამანადგურებელი თვითმფრინავს იდენტიფიცირების მიზნით მიუახლოვდა.

პეტრო პოროშენკოს სიცრუის დეტექტორზე დაკითხავენ

უკრაინის სასამართლომ სახელმწიფო გამოძიების ბიუროს პეტრო პოროშენკოს სიცრუის დეტექტორზე დაკითხვის ნება მისცა.

თავად პოროშენკო ამაზე კომენტარს არ აკეთებს, მისი პრესმდივანი კი აცხადებს, რომ ყოფილი პრეზიდენტის სიცრუის დეტექტორზე დაკითხვას რიგი პროცედურების დაცვა სჭირდება.

– აუცილებელია თავად პოროშენკოს თანხმობა, – ამბობს პრესმდივანი.

აშშ-ში დაბალი შემოსავლების მიგრანტებს 15 ოქტომბრიდან მწვანე ბარათის მიღება გაურთულდებათ

აშშ-ში მცხოვრები მიგრანტებისთვის ვიზის გაგრძელებისა და მუდმივი ცხოვრების სტატუსის, მწვანე ბარათის, მიღების პირობები მკაცრდება.

ტრამპის ადმინისტრაციამ წარადგინა ახალი კანონი, რომელიც ძალაში მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს შევა და რომლის თანახმადაც, იმ აპლიკანტებს, რომლებიც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში სახელმწიფოსგან გარკვეული სახის სოციალურ შეღავათებს იღებენ, როგორიცაა, მაგალითად, საკვებითა და საცხოვრებელი ფართით დახმარება, ქვეყნის მთავრობამ შესაძლოა ვიზის გაგრძელებაზე ან მწვანე ბარათის მიღებაზე უარი უთხრას.

ახალი, კანონის შენიშვნებში აღნიშნულია, რომ ცვლილება იმიგრანტებს უფრო დამოუკიდებელს გახდის, ისინი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საზოგადოებრივ რესურსებზე კი აღარ იქნებიან დამოკიდებული, არამედ საკუთარ შესაძლებლობებს, ოჯახის რესურსებს, სპონსორებს და კერძო ორგანიზაციებს დაეყრდნობიან.

აშშ-ში 22 მილიონი ლეგალური მიგრანტი ცხოვრობს, რომლებსაც აშშ-ის მოქალაქეობა არ გააჩნიათ.

სამოქალაქო უფლებების ორგანიზაციები აცხადებენ, რომ კანონის სამიზნე დაბალი შემოსავლის მქონე იმიგრანტები არიან.

რეგულაციის ძალაში შესვლის აღკვეთის მიზნით, ეროვნული იმიგრაციის კანონის ცენტრი ტრამპის ადმინისტრაციის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს.

ტრამპი პენსილვანიის შტატში ჩავიდა

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი არჩევნებისთვის ემზადება. ის ცდილობს, შეინარჩუნოს სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მხარდაჭერა. წინა არჩევნებში ტრამპის გამარჯვება სწორედ სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მხარდაჭერამ განაპირობა.

ტრამპი ქალაქ მოაკას (სამხრეთ პენსილვანია) ესტუმრა. ის იქაურ ნავთობ-ქიმიურ კომპლექს შელში მივიდა.

პრეზიდენტმა შელის თანამშრომლებს სიტყვით მიმართა

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ამერიკაში 112 წლის თევზი დაიჭირეს

აშშ-ში მეცნიერებმა 112 წლის დიდპირა ბუფალო დაიჭირეს, რომლის ასაკი ოთხჯერ აღემატება მისი თანამოძმეების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას.

მკვლევარებმა დიდპირა ბუფალოები მინესოტას შტატში 2011-18 წლებში დაიჭირეს. თევზებს ფოტოსურათები გადაუღეს, გაზომეს, აწონეს, სპეციალური სათვალთვალო მოწყობილობები დაამაგრეს და ბუნებაში დააბრუნეს, ხოლო 386 ცალი გამოკვლევაზე ლაბორატორიაში გადაიყვანეს.

მეცნიერებმა დაჭერილი თევზების ასაკი, მათ ყურებში არსებული ნადების მიხედვით განსაზღვრეს.

თევზებზე მრავალწლიანი დაკვირვება მათ ყველაზე დღეგრძელი თევზის პოვნაში დაეხმარა. ადრე ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ დიდპირა ბუფალოს საშუალო ასაკი 26 წელს შეადგენდა. თუმცა ჩატარებული კვლევების ანალიზებმა აჩვენა, რომ დაჭერილი თევზების ასაკი 80-დან 90 წლამდე მერყეობდა.

ხიდზე კოცნამ შეყვარებულები დაღუპა



პერუს ქალაქ კუსკოში შეყვარებული წყვილი კოცნის დროს ხიდიდან გადავარდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

ტრაგედია იმ დროს მოხდა, როდესაც 34 წლის მეიბეტ ესპინოსი და 36 წლის ექტორ ვიდალი ღამის კლუბიდან ბრუნდებოდნენ. გზად ისინი ხიდზე შეჩერდნენ და კოცნა დაიწყეს. ქალი მოაჯირზე შემოსკუპდა და ფეხები მამაკაცს წელზე შემოხვია, მაგრამ ამ დროს მან წონასწორობა დაკარგა, ხიდიდან გადავარდა და შეყვარებული მამაკაციც გადაიყოლა.

შეყვარებულები 15 მეტრის სიმაღლიდან გადავარდნენ. ესპინოსი მაშინვე დაიღუპა, ვიდალმა თავის ქალის მოტეხილობა მიიღო და საავადმყოფოში გარდაიცვალა. შეყვარებულების ხიდიდან გადავარდნის კადრები ადგილზე დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერამ გადაიღო.

მეგან მარკლი იაფფასიანი სამკაულების ტარებაში ამხილეს

დიდ ბრიტანეთში პირველად გამოაქვეყნეს 2017 წელს ბოტსვანაში გადაღებული იმ დროისთვის პრინც ჰარის მომავალი მეუღლის მეგან მარკლის ფოტოსურათები.

ერთ-ერთ სურათზე აღბეჭდილია ის მომენტი, როდესაც მეგანი ორივე ხელით სპილოს ხორთუმს ეხება. ამასთან პრინც ჰარის საცოლეს ცერა თითზე უკეთია არცთუ ისე ძვირფასი ბეჭედი, რომელსაც ხელისგულის სიმბოლო ამშვენებს, შუაში კი თვალია ჩასმული. ეს არის ეგრეთწოდებული „ფატიმას ხელისგული“, ამულეტი გავრცელებული ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში, ასევე თურქეთში.

გაირკვა, რომ ბეჭედი თურქული ბრენდის ჯისმეტ ბყ Milka-ს ოქროთია დამზადებული, მისი ღირებულება კი 250 ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

დათვმა მძინარე მოზარდს სახეზე უკბინა

ამერიკის კოლორადოს შტატში მძინარე ბავშვს დათვი თავს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

დილით ადრე მტაცებელმა მდინარე კოლორადოს მახლობლად მდებარე სალაშქრო ბანაკში შეაღწია და 13 წლის მოზარდს უკბინა. დაშავებული სახისა და კისრის არეში უმნიშვნელო იარებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

იუტას შტატის ბუნებრივი რესურსების დაცვის განყოფილების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ადამიანებს ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, რომ დათვის ყურადღება მიეპყროთ. ამ დროისთვის სპეციალისტები მტაცებლის ძებნით არიან დაკავებულები. მათ ჯერჯერობით მხოლოდ ქვიშაზე დატოვებულ მის ნაკვალევს მიაგნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა – მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, აღმაშენებელზე.

გიორგი ქვილითაია: „ბელარუსისთვის უნდა მოვემზადოთ“

გიორგი ქვილითაიას საქართველოს ნაკრებში დებიუტი 2016 წელს ჰქონდა. ახალგაზრდა თავდამსმელს 3 წელიწადში 17 მატჩი მოუგროვდა და 4 გოლის გატანაც მოასწრო. ალბათ ეს სტატისტიკური მონაცემები უფრო მაღალი იქნებოდა, ქვილითაია ტრავმებს რომ არ გაეწამებინა.

გიორგიმ ბოლო 2 სანაკრებო მატჩი სწორედ ტრავმის გამო გამოტოვა. ვერ თამაშობდა ბელგიური გენტის შემადგენლობაშიც. თუმცა, ახლა უკვე ჯანმრთელად არის და ბელგიის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში 63-ე წუთზე მოედანზე შევიდა.

– როგორც იქნა ტრავმა „დაამარცხე“ და მუსკრონთან ითამაშე კიდეც.

– რამდენიმე თვე გამიცდა. თავიდან მხრის ტრავმა მაწუხებდა, შემდეგ მყესი დამეჭიმა და ამანაც ძალიან შემიშალა ხელი. ამჟამად 100%-ით ჯანმრთელი ვარ. ასე რომ არ ყოფილიყო, არც მოედანზე გასვლას გავრისკავდი – ისედაც ბევრი გამიცდა.

– რა იქნება გენტის მიზანი ახალ სეზონში?

– სატრანსფერო ფანჯრისას რამდენიმე კარგი ფეხბურთელი დავიმატეთ და ვფიქრობ, რომ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეგვიძლია. ახლა მთავარი ამოცანა ევროპა ლიგის ჯგუფში მოხვედრაა. რაც შეეხება ჩემპიონატს, ხელმძღვანელები სამეულში მოხვედრას ითხოვენ. ვფიქრობ, ამ ყველაფრის მიღწევა სავსებით შესაძლებელია.

– სწორედ ევროპის ლიგაზე გკითხავ. გენტის მეტოქე ლარნაკას აეკია. პირველი მატჩი სტუმრად 1:1 დასრულდა.

– ძალიან ძლიერი გუნდია. მათ ბევრი ესპანელი ფეხბურთელი ჰყავთ, რაც აეკისთვის დიდი ძალაა. რთული თამაში იქნება, თუმცა ფავორიტები ჩვენ ვართ და ბარიერი აუცილებლად უნდა დავძლიოთ.

– ერთი წელი გავიდა, რაც გენტში გადახვედი. შეგიძლია თქვა, რომ ადაპტაცია 100%-ით გაიარე და გუნდს ბოლომდე შეეწყვე?

– მართალია 1 წლის წინ გადმოვედი, თუმცა აქედან 8 თვე ტრავმების გამო გამიცდა. ორჯერ კოჭი მოვიტეხე, რამაც გარკვეულწილად ხელი შემიშალა. სასიხარულოა, რომ სეზონის ბოლოს ფორმაში შევედი. გუნდს 4 გოლთან ერთად 3 საგოლე პასითაც დავეხმარე. საბოლოო ჯამში, მაინც ვთვლი, რომ ადაპტაცია ნორმალურად გავიარე.

– ბოლო 4 სანაკრებო მატჩებზე რას იტყვი?

– ყველანი ძალიან იმედგაცრუებულები ვართ, ერთა ლიგაზე ნაჩვენები შედეგიდან და თამაშის ხარისხიდან გამომდინარე მეტს ველოდით, თუმცა ასე არ მოხდა. ყველაზე მეტად იმან შეგვიშალა ხელი, რომ ყოველთვის ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი გვყავს. სამწუხაროა, რომ ვერასდროს შევიკრიბეთ ის გუნდი, რომელიც ვაისს სურდა.

– ჯგუფში დარჩენილი სანაკრებო მატჩებისგან რას უნდა ველოდოთ?

– ჩემი აზრით, დარჩენილი 4 შეხვედრა ბელარუსის ნაკრებთან მზადებისთვის უნდა გამოვიყენოთ. ეს ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია. ვაისიც ალბათ სწორედ ამაზე გააკეთებს აქცენტს.

– ფაქტია, როცა ჯანმრთელი ხარ, ვაისი სწორედ შენ გაყენებს ძირითადში და არა რომელიმე სხვა ფორვარდს. ამან ალბათ თავდაჯერება შეგმატა.

– ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. რა თქმა უნდა, თავდაჯერებას მმატებს და დიდ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ. ვისურვებდი, რომ ტრავმამ ხელი აღარ შემიშალოს. ჩემს კარიერას რომ გადავხედოთ, საკმაოდ იყო ჯანმრთელობის პრობლემები. ტრავმების დრო აღარაა და იმედი მაქვს, ნაკრებს აღარ დავაკლდები.

სიმეონეს მესის გაწვრთნა სურს

ალბათ არ არსებობს მსოფლიოში ადამიანი, რომელსაც ლეო მესის თამაში არ მოსწონდეს. ალბათ, მსოფლიოში ყველა მწვრთნელიც იმაზე ოცნებობს, რომ გუნდში არგენტინელი გენიოსი ჰყავდეს.

ერთ-ერთი მათგანი დიეგო სიმეონეა, რომელსაც ძალიან მოსწონს თანამემამულის თამაში. ჩოლო ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მოუწოდებდა ლეოს, რომ დაბრუნებოდა საერთაშორისო ასპარეზს და ძალიანაც გაიხარა, როცა ეს ასეც მოხდა.

მადრიდის ატლეტიკოს თავკაცმა არ გამორიცხა, რომ ერთ დღეს, შეიძლება, მშობლიური ქვეყნის ნაკრები გაწვრთნას და, რა თქმა უნდა, მას ძალიან ხიბლავს მესისთან მუშაობის პერსპექტივა.

დიეგო სიმეონე:

– ფაქტია, არგენტინის საფეხბურთო ასოციაციას ჩემთვის არასოდეს შემოუთავაზებია ეროვნული გუნდის გაწვრთნა. ვერ დავმალავ – ნამდვილად მინდა არგენტინის ნაკრებში მუშაობა, მაგრამ აქ არის ძალიან ბევრი ნიუანსი, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ამ დროისთვის ჩვენი მიზანი ერთია – უნდა დავწეროთ მადრიდის ატლეტიკოს ისტორია და, დარწმუნებული ვარ, ამას აუცილებლად შევძლებთ.

სიმეონემ ღიად განაცხადა, რომ ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს მის გარშემო გავრცელებულ ჭორებს. მაგალითად, ძალიან ბევრი იწერებოდა იმის თაობაზე, რომ არგენტინელი სპეციალისტი მილანის ინტერში გადაბარგდებოდა, მაგრამ სიმეონე ამბობს, რომ ის ატლეტიკოშიც ძალიან ბედნიერია. ახლა კი ისევ არგენტინის ნაკრებზე:

– მჯერა, დადგება ის მომენტი, როცა შეიძლება ჩავიბარო არგენტინის ეროვნული გუნდი. ეს არის ჩემი ოცნება და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ოცნება ერთ დღესაც ამისრულდება. ჯერჯერობით კი მირჩევნია, საკლუბო სისტემაში ვიმუშაო და ყოველი დღე დატვირთული მქონდეს.

არგენტინის ნაკრების მწვრთნელობა კი მესის გაწვრთნას ნიშნავს.

– რა თქმა უნდა, „კოპა ამერიკაზე“ მესი გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო. მას დიდი ტვირთი ჰქონდა მხრებზე და ამაში ყველა დამეთანხმება. ახლა არ შევუდგები მესის მიერ გაკეთებული განცხადებების კომენტირებას. შეიძლება, ეთანხმებოდე მათ, შეიძლება – არა. ფაქტი ისაა, რომ ყველას შეუძლია, თავისებურად იფიქროს.

მესი ნამდვილი ლიდერია. ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია და არ მესმის, რატომ არ უნდა მინდოდეს მისი გაწვრთნა?

შედეგები

13 აგვისტო

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ღიგა

ყარაბახი-აპოელი	0:2
რუსენბორგი-მარიბორი	3:1
დინამო (კ)-ბრიუგე	3:3
ფერენცვაროში-დინამო (ზ)	0:4
კოპენჰაგენი-ცრვენა ზვეზდა 1:1(6:7პ)	
აიაქსი-პაოკი	3:2
ლინცერი-ბაზელი	3:1
ოლიმპიაკოსი-ბაშაქშეჰირი	2:0
სელტიკი-კლუჟი	3:4
პორტუ-კრასნოდარი	2:3

უეფას ევროპის ღიგა

კალიუ-დუდელანჟი	0:1
ლინფილდი-სუტიესკა	3:2
დანდალკი-სლოვანი	1:3

დავითაშვილი შესანიშნავ შვიდეულში

რუსულმა მედიამ ყაზანის რუბინის ქართველი ლეგიონერი, 18 წლის ზურიკო დავითაშვილი იმ 7 ფეხბურთელს შორის დაასახელა, რომლებიც რუსეთის პრემიერლიგის სასტარტო 5 ტურის შემდეგ, მედიისა და ქომაგებისთვის ნამდვილ აღმოჩენად იქცნენ.

რუბინს, რომლის ღირსებას დავითაშვილის გარდა, ხვიჩა კვარაცხელია და ბექა მიქელთაძე იცავენ, 7 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზეა. დავითაშვილი ერთადერთი ქართველია, რომელიც განვლილ 5 ტურში გატანილი გოლით არ გამორჩეულა, თუმცა ახალგაზრდა ქართველის თამაშით ყველა აღტაცებულია და რუბინის მთავარი მწვრთნელიც ზურიკოს მუდმივად სასტარტო შემადგენლობაში აყენებს, ბოლო 3 მატჩში კი შეუცვლელად ათამაშებს.

აი, რას წერენ რუსები ქართველზე:

– ზაფხულში 3 ქართველი ფეხბურთელის – დავითაშვილის, კვარაცხელიას და მიქელთაძის სახით გაძლიერება რუბინზე აშკარად დადებითად აისახა. ჯერჯერობით, უფრო დიდ სათამაშო დროს ზურიკო იღებს, რომელიც ყოველ ტურში მოედანზე საწყისი წუთებიდან გადის. ახალგაზრდა ნახევარმცველმა სწრაფად შეძლო ტექნიკური ფეხბურთელის სახელის მოპოვება. ის თანაგუნდელებზე ხშირად ამწვავებს თამაშს, წარმატებული დრიბლინგების რაოდენობით კი ლიგის 5 საუკეთესო ფეხბურთელთა შორისაა. დავითაშვილს დარტყმაც კარგად აქვს დაყენებული.

ჯერჯერობით, ახალგაზრდა ფეხბურთელი გოლით არ გამორჩეულა, მაგრამ ასეთი მონაცემებისა და მწვრთნელის ნდობის წყალობით, დიდი ხნით ლოდინი ალბათ არ დაგვჭირდება. რუბინს ძალიან წაადგება ზურიკოს გოლები, რათა კვლავაც მოახერხოს ქულების მოპოვება ზედიზედ 2 წაგების შემდეგ.

რუბინი რუსეთის პრემიერლიგაში მე-6 ტურის შეხვედრას საკუთარ მოედანზე 18 აგვისტოს, ტულის არსენალთან ჩაატარებს, რომლის ღირსებას საქართველოს ნაკრების მცველი გია გრიგალავა იცავს.

ბასილაშვილმა ცინცინატი პირველივე წრეში დაასრულა

ცინცინატის ატპ-ის მასტერსის 1.000-იანი სერიის ტურნირის (საპრიზო ფონდი 6.056.280 დოლარი) პირველი მატჩი წარუმატებელი გამოდგა ქართველი ჩოგბურთელის, ნიკოლოზ ბასილაშვილისთვის.

ტურნირზე მე-15 ნომრად განთავსილი ნიკოლოზ ბასილაშვილი საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსულ ანდრეი რუბლიოვს შეხვდა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ, ჰამბურგში, ევროპის ღია პირველობის ფინალში დაამარცხა.

სამწუხაროდ, ამჯერად, ჩვენებური დამარცხდა – 7:6, 4:6, 2:6. მატჩი ზუსტად 2 საათს გაგრძელდა.

დაძაბულ პირველ სეტში ყველაფერი ტაი ბრეიკზე გადაწყდა, რომელიც ნიკამ 7:4 მოიგო. მეორე სეტში 4:4-ზე ბასილაშვილმა ნულზე წააგო საკუთარი მოწოდება და რუსს სეტის ბოლომდე მიყვანა არ გასჭირვებია. ბოლო სეტში გადამწყვეტი ნიკას მოწოდება გამოდგა 2:2-ზე, რომელიც ქართველმა დათმო და ამის შემდეგ მას სერიოზული წინააღმდეგობა არც გაუწევია მეტოქისთვის.

ამ მარცხის შემდეგ ნიკამ 45 ქულა დაკარგა და მიმდინარე რეიტინგში ბასილაშვილს 1.985 ქულა აქვს და მე-17 პოზიციაზეა.

27 წლის ქართველი ამერიკის ქალაქ უინსტონ-სალემში 250-იანი სერიის ტურნირში იასპარეზებს, სადაც მე-2 ნომრად იქნება განთესილი. ეს ამერიკის ღია პირველობის წინ ბოლო რეპეტიცია იქნება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მონასტრის მსახური; 2. ისრაელის პარლამენტი; 3. საღებავი ნივთიერებები, რომლებიც ფერს აძლევენ ცოცხალი ორგანიზმების ქსოვილებს; 4. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 5. იტალიელი მოდელიორი; 8. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი; 9. ანსამბლ „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 12. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 13. სამართლებრივი მდგომარეობა; 16. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 17. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. დენის ძალის საზომი ერთეული; 20. მდინარე სვანეთში.

თარაზულად: 6. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 7. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 8. აზიისა და აფრიკის ტროპიკებში გავრცელებული ნახევარმაიმუნი; 10. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის კინოპრიზი; 11. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 14. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 15. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 18. ცირკის არენა; 21. ძვირფასი ლითონების წონის ერთეული ძველად საქართველოში; 22. პატარძლისთვის მირთმეული საქორწილო ნიშანი; 23. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 24. ქართული ლუდი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იმპერატივი; 3. სუძუკი; 3. ვალონია; 4. ციცქა; 5. სინტაქსი; 6. ჟოკეი; 7. ბორჯომი; 9. ხანუმა; 13. ჰააგა; 17. ოქრო; 18. ირი.

თარაზულად: 1. იკარუსი; 3. ვადუცი; 8. ჟიგოლო; 10. კურიოზი; 11. კრონა; 12. ბაგიათი; 14. სტამბა; 15. ალაზანი; 16. სიონი; 19. რეგატა; 20. ჟინვალი; 21. ჭიბონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ოპიზარი; 2. იმერეთი; 3. ფიტომალი; 4. ლოპესი; 5. კარმენი; 8. ჩარდაში; 9. შორაპანი; 12. ბარტოლდი; 13. ანალგია; 16. ბერიკები; 17. პანკისი; 19. ლაზარე; 20. საირმე.

თარაზულად: 6. ოპტიმიზმი; 7. ხორბალი; 8. ჩხოუში; 10. კანბერა; 11. იედო; 14. კინტრიში; 15. ირლანდია; 18. ბემოლი; 21. არიფანა; 22. ნარდი; 23. ერზაცი; 24. ფილისტერი.

სამგლოვიარო განცხადებები

ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და თანაგრძნობას ვუცხადებთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ლიანა ბერიაშვილს ვაჟიშვილის

დიმიტრი მანჯავიძის

გარდაცვალების გამო.

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და თანაგრძნობას ვუცხადებთ თანამშრომელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ლიანა ბერიაშვილს ვაჟიშვილის

დიმიტრი მანჯავიძის

გარდაცვალების გამო.

კავკასიის საერთაშორისო ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ლიანა ბერიაშვილს ვაჟიშვილის

დიმიტრი მანჯავაძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhalitaoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9121

ევრო — 3.2572

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5213

100 რუსული რუბლი — 4.4424

ამინდის პროგნოზი 15 აგვისტო

ჯარედ ლეტო კონცერტზე საქართველოს დროშით გამოვიდა

ოსკაროსანი მსახიობი და მომღერალი ჯარედ ლეტო ბლექ სი არენაზე გამართულ კონცერტზე შეკრებილი მსმენელის წინაშე საქართველოს დროშით გამოვიდა.

გუჩის სამოსში გამოწყობილი მომღერალი და მსახიობი დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე აპლოდისმენტებით მიიღო.

ჯარედ ლეტო ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ტურნეს ფარგლებში ესტუმრა. ჯარედისა და მისი ძმის შენონის მიერ დაარსებულმა ბენდმა 5-წლიანი პაუზა დაასრულა და მსოფლიოს გარშემო საკონცერტო მოგზაურობა დაიწყო.

ჯარედ და შენონ ლეტოები უკვე 20 წელზე მეტია ამერიკულ როკ პროექტს ახორციელებენ. მათი ჯგუფი სხვადასხვა ფესტივალების მონაწილეა და შემოქმედებითი პაუზაც დაასრულეს.

ბენდის პირველი კომერციული წარმატება და აღიარება 2005 წელს გამოსულ ალბომს უკავშირდება, რომელიც ცნობილი ჰიტები გაერთიანდა. კრიტიკოსების და მსმენელის მხრიდან ალბომის აღიარებამ ჯგუფის პოპულარობა მნიშვნელოვნად გაზარდა, რის შემდეგ ამერიკულმა ჯგუფმა კიდევ 3 წარმატებული ალბომი გამოსცა, რომლის პარალელურად მსოფლიოს ყველა დიდ ფესტივალსა და საკონცერტო სივრცეში დაკვრა განაგრძო.

მოგვიანებით ჯგუფმა არტ პოპ და ელექტრონულ ჟღერადობაზე ორიენტირებული ალბომი „ამერიკა“ გამოსცა. სწორედ ამ ჩანაწერს მოჰყვა ჯგუფის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ტურნე.

სპირიტუალური და ფილოსოფიური თემებით დატვირთული სიმღერების და ენერგიული ცოცხალი შესრულების წყალობით ჯგუფის შემოქმედება თანამედროვე მუსიკალური სივრცის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პროექტია.

ჯარედ ლეტო და მისი ჯგუფი ბლექ სი არენაზე მსმენელის წინაშე 2-საათიანი პროგრამით წარდგა.

ოთო ნემსაძე: „გამოათრიეთ ეგ ბანძი რუსული სიმღერები ქობულეთის ბარებიდან“



მომღერალი ოთო ნემსაძე რუსული სიმღერების საქართველოში აუღერების წინააღმდეგია:

– არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს 08.08.2008 და ამ ყველაფრის დავიწყება ყველაფრის ღალატს უდრის.

გამოათრიეთ თუნდაც ამ დღეს ეგ ბანძი რუსული სიმღერები ქობულეთის ბარებიდან და ბუნგალოებიდან, ტეხავს!

დიდება გმირებს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

15 აგვისტოსთვის

ვერძი – ალკოჰოლის მიღება, წინდაუხედაობა უსიამოვნების წყაროდ იქცევა. ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **კურო** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. სტუმრების მიღება სხვა დროისათვის გადადეთ. **ტყუპები** – ცივი გონება საუკეთესო მრჩეველია. ემოციები აკონტროლეთ. პროვოკაციული დღეა. **კირჩხიბი** – კონფლიქტური სიტუაცია ძირშივე აღკვეთეთ. გაერიდეთ ემოციურად გაუწონასწორებელ ადამიანებს. **ლომი** – ყოველგვარი საქმე გადადეთ. გეგმები გეცვლებათ. ეცადეთ, მხოლოდ დაისვენოთ და გაერთოთ. **ქალწული** – მოულოდნელი ახალი ამბავი შესაძლოა სასიხარულოც იყოს და უსიამოვნოც. შრომისუნარიანობა აგიმაღლდებათ. **სასწორი** – ახალი საქმიანი პროექტი პარტნიორებთან ერთად განიხილეთ. გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად ნუ მიიღებთ. **ღრმანაქალი** – ემოციურად საკმაოდ რთული და არასტაბილური დღეა. შესაძლოა კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. **მშვილდოსანი** – სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიში, სუფთა ჰაერზე სეირნობა თქვენს ჯანმრთელობას სასიკეთოდ წაადგება. ახლობელი საკმაოდ სასარგებლო რჩევას მოგცემთ. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დაბნეული და იმედგაცრუებული ხართ. დათრგუნეთ მოზღვავებული აგრესია. **მერწყული** – წვრილმანი საოჯახო საქმეები დღესვე დაამთავრეთ. აკონტროლეთ ბიუჯეტი. **თევზები** – შემოსავალი მოულოდნელად გეზრდებათ. მეგობარი დახმარების ხელს გიწვდით.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

დაბოლილი ნარკომანი ყვირის:

– ვინ დაკარგა 10 ლარი? არავინ პასუხობს.

– ვინ დაკარგა 10 ლარი? ისევ სიჩუმეა.

– ვინ დაკარგა 10 ლარი? ამ დროს მოხუცი ქალბატონი ეუბნება:

– ალბათ მე დავკარგე, შვილო.

– მერე, რას დგეხარ, მოძებნე!

●●●

მშენებლების უფროსი ობიექტის შემკვეთს ფართო და ღრმა ჭას აჩვენებს. შემკვეთი ჭაში ჩაიხედავს და ეკითხება:

– და ქვევით ნათურა რისთვისაა?

– როგორ თუ რისთვის? ყველაფერი ისეა, როგორც ნახაზებზეა, აი ნახეთ.

შემკვეთმა ნახაზებს დახედა და ეუბნება:

– უტვინოებო! აქ ჭა კი არა, შუქურა უნდა ყოფილიყო.

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– 20 წლის თანაცხოვრების მანძილზე, ერთხელ, ფიქრებში მაინც თუ გიღალატია ჩემთვის?

– გულახდილად გეტყვი, ფიქრებში არასოდეს.

●●●

კბილის ექიმი პაციენტს ეუბნება:

– ეს კბილი ამოსაღებია!

– და რამდენი ეღირება?

– 50 ლარი.

– სამი წუთის მუშაობაში 50 ლარი რა ამბავია?

– რა პრობლემაა, შემიძლია მთელი საათი გავწელო.

●●●

ახალგაზრდა მამაკაცი თავისი მეგობარი გოგონას მამას ეუბნება:

– რა თქმა უნდა, მესმის, რომ ეს მხოლოდ ფორმალობაა, მაგრამ წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თუ თქვენი ქალიშვილის ხელს გთხოვთ?

– ვინ თქვა, რომ ეს „მხოლოდ ფორმალობაა“?!

– გინეკოლოგმა...!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577 46 06 59 ან 595 18 37 09

სანჩესი შესაძლოა მანჩესტერ იუნაიტედის რეზერვში დააქვეითონ

მანჩესტერ იუნაიტედის ჩილელი ფორვარდი ალექსის სანჩესი შესაძლოა სარეზერვო გუნდში გადაიყვანონ, თუ მან მანჩესტერი არ დატოვა.

სანჩესი ოლე გუნარ სოლსკიაერის გეგმებში არ შედის, მაგრამ ჩილელ ფორვარდს წასვლა არ უნდა, რადგან ძალიან მაღალი ანაზღაურება აქვს.

სანჩესის ყიდვა რამდენიმე იტალიურ გუნდს სურს, მათ შორის არიან რომა და ინტერი. სანჩესის ევროპული კარიერა სწორედ იტალიაში, კერძოდ კი, უდინეზეში დაიწყო. შემდეგ კი ალექსისმა რამდენიმე სეზონი ბარსელონაში გაატარა, სადაც ის საკმაოდ შედეგიანი იყო.

ლუკაკუ: „ინტერთან ერთად ტიტულების მოგება მინდა“

მილანის ინტერის ახალწვეულმა რომელუ ლუკაკუმ განაცხადა, რომ ინტერთან ერთად იტალიის ჩემპიონატის მოგებას აპირებს და მისი მთავარი მიზანი ინტერში ბევრი ტიტულის მოპოვებაა:

– მილანი შესანიშნავი ქალაქია, მაგრამ მე აქ ტურისტად არ ჩამოვსულვარ და მინდა, რომ ინტერთან ერთად ბევრი ტიტული მოვიგო. ვფიქრობ, ეს რეალურია. იტალიაში საკმაოდ მძიმე ვარჯიშებია და აქ უფრო მეტი შრომა მომიწევს, ვიდრე ინგლისში მიწევდა.

პსჟ და ბარსელონა ვერ თანხმდებიან

ბარსელონას და პსჟ-ს შორის აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს ნეიმარის ტრანსფერზე, მაგრამ მხარეები ჯერჯერობით ვერ თანხმდებიან.

ბარსელონა პსჟ-ს 100 მილიონს, კოუტინიოს და რაკიტიჩს სთავაზობს, პსჟ კი ნელსონ სემედოს და 150 მილიონს ითხოვს.

ბარსელონას სპორტული დირექტორი ერიკ აბიდალი საფრანგეთში იმყოფება, სადაც პარიზულ გუნდთან აწარმოებს მოლაპარაკებებს და უახლოეს დღეებში ბევრი დეტალი ცნობილი გახდება.

ნეიმარისთვის რეალიც იბრძვის, მაგრამ თვითონ ფეხბურთელს ბარსელონაში სურს დაბრუნება.

ბალოტელი კარიერას ბრეშაში გააგრძელებს

იტალიელი ფორვარდი მარიო ბალოტელი კარიერას ბრეშაში გააგრძელებს. ბალოტელი ბრაზილიურ ფლამენგოში აპირებდა გადასვლას, მაგრამ ბოლო მომენტში უარი თქვა, რადგან ბალოტელი აქ გაზრდილია და მას ამ გუნდში თამაში ყოველთვის სურდა.

მარიო სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. ამჟამად ფორვარდი თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს და მისი ბოლო გუნდი მარსელის ოლიმპიკი იყო.

მამაკაცმა ათასობით დოლარი თვალდახუჭულმა მოიგო

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას ქალაქ ლიტლტონის მცხოვრებმა ლატარიის ბილეთზე რიცხვების კომბინაციის შერჩევისას თვალდახუჭულმა გააკეთა არჩევანი და მსხვილი მოგების მფლობელი გახდა.

სტენლი მენლი ამტკიცებს, რომ შინაგანმა წინათგრძნობამ უბიძგა მას ლატარიის ქეშ 5-ის ბილეთის შეძენისკენ.

– წინა საღამოს მეუღლეს ვუთხარი, რომ კარგი წინათგრძნობა მქონდა, – იხსენებს მამაკაცი, – ვარწმუნებდი, რომ ლატარიის ბილეთი უნდა მეყიდა.

აზარტული თამაშების მოყვარულმა განმარტა, რომ ადრე ლატარიის თამაშის დროს თავის საყვარელ რიცხვებს იყენებდა, თუმცა ამჯერად გადაწყვიტა, ახალი ტაქტიკისთვის მიემართა.

– თვალები დავხუჭე და ინტუიციას მივენდე, – ამბობს მენლი. ფანქარი დავუშვი და ბრმად შემოვხაზე ბილეთზე რამდენიმე რიცხვი.

ორი დღის შემდეგ იღბლიანმა ამერიკელმა გათამაშების შედეგები შეამოწმა და შეიტყო, რომ 106,6 ათასი დოლარის მფლობელი გახდა. გამარჯვებულს არ გაუმხელია, თუ რაზე აპირებს მოგებული თანხის დახარჯვას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ფარმაცევტთა ოფიციალური სახელმძღვანელო კრებული; 2. ებრაელთა ახალი წელი; 3. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 4. იაპონური აბანო; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 6. გერმანელი ფილოსოფოსი; 7. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 9. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 13. მდინარე გურიაში; 17. ეგრისის მთავარი VI საუკუნეში; 18. საქართველოს რაგბისტთა გუნდი.

თარაზულად: 1. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 3. პალესტინის ულტრანაციონალური ორგანიზაცია; 8. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 10. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 11. ყვითელი ფერის გამჭვირვალე მტკიცე ფისოვანი მინერალი; 12. ღვინის კასრების მკეთებელი ოსტატი; 14. ხელოვნურად გაშენებული ტყე; 15. ქალაქი იმერეთში; 16. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამხრეთ საფრანგეთში; 19. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 20. მდინარე რიგაში; 21. ძველი საბუთების საცავი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა